# საერთო გაზეთი

№21 (660)
ოთხშაბათი
15 ივნისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


# დუმილი ახლა თვითმკვლელობის ტოლფასია!

**ვახტანგ ხარჩილავა:**
რას ერჩის ევროპარლამენტი საქართველოს, ქართველ ხალხს და მის ხელისუფლებას?!

**კობა არაბული:**
კაცს, რომელსაც ნობელის პრემიას უნდა გადასცემდეს მსოფლიო, მისი აშენებული სამშობლოდან უპირებენ განდევნას?

**ლაშა გვასალია:**
„ყრუ კედელი დუმდა, ჩარაზული კარით...“
ღია წერილი ევროპარლამენტს

მკითხველზე მოფიქრალი კაცის იუბილე







**გელა ზედელაშვილი:**
ბებერი ევროპა, 732 უსაქმური და ცრუპენტელათა მიერ დაწერილი რეზოლუცია

**გია გაჩეჩილაძე:**
მე ვიტყვი ხმამაღლა: საჯიჯგნად არავის მივუგდებთ ბიძინა ივანიშვილს და ყველა ნახავს, როგორ დადგება საქართველო ფეხზე

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**
პოლიტიკური მაფია – „ნაცმოძრაობა“, ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება!

პარანორმალური მოვლენები – რეალურსა და ირეალურს შორის

## შალვა რაზმაძის კარიკატურები: აბა, გამოიცანი!







# რას ერჩის ევროპარლამენტი საქართველოს, ქართველ ხალხს და მის ხელისუფლებას?!



ვახტანგ ხარჩილავა

ის, რასაც ახლა, ამ წერილში წაიკითხავთ, არ გეგონოთ, რომ მხოლოდ ჩემი პირადი, პერსონალური პოზიციაა და მას საერთო-სახალხო პოზიციასთან არაფერი აკავშირებს.

არა, მე არაფერს ვამბობ ისეთს, რასაც ქართველი ხალხის უმრავლესობა არ ამბობს, უბრალოდ, ვიღაც-ვიღაცებს ქართველი ხალხის მოსმენა არ უნდათ და თავი ისე უჭირავთ, თითქოს ყრუები არიან.

ხალხის აბუჩად აგდება, ხალხის გამასხარავება, ქვეყნის შეურაცხყოფა ჰქვია ამას, რაც წლებია გრძელდება და უკიდურესად დამთრგუნველად მოქმედებს ქართველი ერის ფსიქიკაზე, მის განწყობაზე, მის პოლიტიკურ ორიენტაციაზე.

მოდით, პირდაპირ და ღიად დავსვათ კითხვა: რას ერჩის ევროპარლამენტი საქართველოს, ქართველ ხალხს და მის ხელისუფლებას?!

— რას ჰქვია, ვერჩით? პირიქით, ვეხმარებით, ხელს ვუწყობთ რეფორმების ჩატარებაში, სწორ მიმართულებებს ვაძლევთ, ვასწავლით, რომ საქართველო რაც შეიძლება მალე გახდეს ევროკავშირის ღირსეული წევრი, — მიპასუხებენ, ალბათ, ევროპარლამენტიდან.

კი, მაგრამ, რანაირი თანადგომა, რანაირი მხარდაჭერაა, როცა ევროკავშირის წევრობის კანდიდატად წარდგენის წინ ევროპარლამენტი გამანადგურებელ რეზოლუციას გვიგზავნის და ყველაფერს წყალში გვიყრის, რაც კი აქამდე წარმატება და მიღწევა გვქონია.

საქართველოში თურმე ადამიანის უფლებები დაუცველია, საქართველოში თურმე დამოუკიდებელ მედიას, სიტყვის თავისუფლებას, ჟურნალისტებს ებრძვიან (ზოგს კლავენ კიდეც), საქართველოში უდანაშაულო ადამიანებს იჭერენ და ციხეებში ამწყვდევენ. საქართველოში პოლიტპატიმრები ჰყავთ.

საქართველოს ხელისუფლება იმდენად სასტიკი და ულმობელია თურმე, რომ ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებების მქონე კაცს, სააკაშვილს, რომელიც მძიმედ არის ავად, ციხიდან არ უშვებს სამკურნალოდ, არც სასჯელის გადავადებას უკეთებს და ამით ნელ-ნელა, მიზანმიმართულად კლავს.

აი, ასეთი ბრალდებებია ჩამოთვლილი ამ რეზოლუციაში და თუ ეს მართალია, ასეთი დანაშაულების ჩამდენი ქვეყანა ევროკავშირში კი არა, მებილიარდეთა კავშირში არ შეიშვება.

თუმცა გამაოგნებელი ის არის, რომ რეზოლუციაში ჩამოთვლილი ყველა ბრალდება სრული ფალსიფიკაციაა, სრული სიცრუეა, სრული საიყალბე და დემაგოგიაა.

კითხულობ ამ რეზოლუციას და გაოცებული რჩები: როგორ კადრულობს ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის ორგანიზაცია, როგორიც ევროპარლამენტია, ასეთი ურცხვი და უტიფარი სიყალბის შეთითხვნას?

რისთვის სჭირდება მას ამის გაკეთება? რა მიზანს ემსახურება ეს რეზოლუცია, რომელიც ასე ემწვავა და ემწარა ქართველ ერს, რომელიც კეთილად არის განწყობილი ევროკავშირის მიმართ და თავისი მომავალი უსაფრთხოების გარანტი იქ ეგულება?

რა ქნას ახლა ქართველმა ხალხმა?

— რადგან თქვენ არ გინდივართ, რადგან ათასგვარ მიზეზებს იგონებთ, რომ ევროკავშირს ვერ მივუახლოვდეთ, რადგან ათასგვარი ხელოვნური ბარიკადით გვიხერგავთ გზას, არც თქვენი ევროპა გვინდა, არც თქვენი ევროკავშირი! — ვიღაცას ძალიან უნდა, ეს საბედისწერო სიტყვები თქვას ქართველმა ხალხმა და ეს „ვიღაცა“ აუცილებლად ევროპარლამენტიდან არის.

ცოტა უხერხული და საჩოთიროა ამის თქმა, მაგრამ სიმართლეა.

როგორც ამბობენ, მსგავსი ყალბი რეზოლუციებისა და ცილისმწამებლური განცხადებების ავტორი და შემოქმედი მთელი ევროპარლამენტი კი არ არის, არამედ ევროპარლამენტართა ერთი ჯგუფია, კერძოდ, ევროკავშირის სახალხო პარტია, რომელსაც ძმობის, მჭიდრო თანამშრომლობისა და მეგობრობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, უკვე წლებია, „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

მაგრამ ეს არ არის მთავარი.

მთავარი ის არის, რომ ევროპის სახალხო პარტია, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, დიდი ხანია მჭიდროდ თანამშრომლობს რუსულ პოლიტიკურ წრეებთან.

მას რუსეთის დუმის საიდუმლო ფილიალსაც ეძახდნენ შეფარვით.

**ასე შეიკრა პოლიტიკური სამკუთხედი: რუსეთი — ევროპის სახალხო პარტია — საქართველოს „ნაციონალური მოძრაობა“.**

ამ სამკუთხედის ერთიანობა დღემდე არ დაშლილა და როგორც ჩანს, ერთმანეთთან სრულ კოორდინაციაში არიან.

წარმოუდგენელია, ევროპარლამენტის ხელმძღვანელობამ, მისი წევრების უმრავლესობამ არ იცოდეს, რა საქმიანობას ეწევა ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია, ევროპის სახალხო პარტია და როგორ ლობირებს კრიმინალების ბანდას — „ნაცმოძრაობას“.

ევროპარლამენტის ხელმძღვანელობა არასოდეს დაინტერესებულა, რატომ უნდა ჰქონოდა ევროპის სახალხო პარტიას ასეთი ახლო ურთიერთობა რუსულ პოლიტიკურ წრეებთან და რატომ უნდა „მიეერთებინათ“ მათ ე. წ. მკვეთრად დასავლური ორიენტაციის „ნაცმოძრაობა“.

რას აკეთებდა ეს სამეული ერთად, კოორდინირებულად, შეთანხმებულად და ვის სასარგებლოდ აკეთებდა ამას — ევროპის თუ რუსეთის?

„ნაცმოძრაობის“ „მოღვაწეობის“ 9-წლიან ისტორიას თუ გავაანალიზებთ, უტყუარი ფაქტებით დავრწმუნდებით, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში „ნაცმოძრაობა“ რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს და რუსეთის სასარგებლოდ მუშაობდა.

ამის უამრავი დამამტკიცებელი ფაქტი არსებობს, რომელთა ნახვა და გადამოწმება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ნაციონალები სიტყვით ვითომ თავგადადებული პროდასავლელები იყვნენ, მაგრამ კონკრეტული საქმეებით რუსეთს ემსახურებოდნენ.

ნუთუ ეს არ იცის ევროპარლამენტმა, არ იცის აშშ-ის კონგრესმა, რომ საქართველოს და დასავლეთის მოღალატე კრიმინალურ ძალას დღემდე მფარველობენ და ხელს აფარებენ, უფრო მეტიც — უნდათ, „ქართული ოცნება“ წავიდეს და ხელისუფლებაში კვლავ „ნაცმოძრაობის“ კრიმინალური რეჟიმი მოვიდეს, ისე, რომ ქართველ ხალხს არც არაფერი ჰკითხონ, იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ არ მიიღებს ქართველი ხალხი „ნაცმოძრაობას“ — ეს გამორიცხულია!

არ მიიღებს ქართველი ხალხი „ნაცმოძრაობას“ — სისხლს დაღვრის, წინ გადაუდგება და არ მიიღებს, იმდენი ბოროტება აქვს მას გაკეთებული საქართველოსთვის.

„ნაცმოძრაობა“, ეს იყო XXI საუკუნის ქართული ფაშიზმი, დესპოტური, მანიაკალური, სადისტური რეჟიმი.

9 წლის განმავლობაში მშვიდად უყურებდით თქვენ ამ ნამდვილ ჯოჯოხეთს, ძვირფასო ევროპარლამენტარებო, უყურებდით და იმის ნაცვლად, რომ ქართველ ხალხს დახმარებოდით ამ ჭკუიდან გადასული სააკაშვილის ასალაგმად, პირიქით — მას აგულიანებდით, აქეზებდით, დემოკრატიის შუქურას ეძახდით.

სააკაშვილის ხელით გვსჯიდით, ბატონებო და ახლაც იგივეს გვიპირებთ?

კი, მაგრამ, რატომ? ასეთი ვის რა დაუშავა საქართველომ, ან ევროპას რა ზიანი და ზარალი მიაყენა, ან ამერიკას?

იქნებ, დანაშაულად ის გვეთვლება, რომ საკუთარი მეობის, საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად ჩვენს რელიგიას, ჩვენს ადათ-წესებს მივსდევთ, ლგბტ-პარადებისა და ფესტივალების წინააღმდეგი ვართ, ნორმალურ ადამიანებს გვინდა ვგავდეთ?

ლგბტ თემა ქართველ ხალხსა და დასავლეთს შორის სერიოზული დისკუსიისა და დაპირისპირების საგანი გახდა.

ბევრი ასეთი პარადი გვინახავს ჩვენ სხვადასხვა ქვეყნებში — ეს იმდენად სასაცილო, იმდენად უხერხული და უსიამოვნო სანახაობაა, არ შეიძლება ამ უბადრუკმა სურათმა რაიმეთი მიგიზიდოს და მოგხიბლოს. ერთადერთი გრძნობა, რაც მათ მიმარათ შეიძლება გაგიჩნდეს, ეს თანაგრძნობა, გულისტკივილი და სიბრალულია.

ისე, როგორც არ შეიძლება ძალადობა ადამიანზე, ასევე არ შეიძლება ძალადობა ხალხზე, თქვენ კი ძალადობთ ჩვენზე და გვაიძულებთ, გავაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც არ გვინდა.

ეს რანაირი პარტნიორობაა, ეს რანაირი მეგობრობაა, ეს სადაური დემოკრატიაა?!

ევროკავშირში იმიტომ კი არ გვინდა შემოსვლა, რომ თქვენი დირექტივები და ინსტრუქციები მონებივით თავდახრილებმა მორჩილად შევასრულოთ.

მონობისთვის ოცსაუკუნოვან ურთულეს გზას არ გამოვივლიდით — სადმე მოსახვევში მივაყრდნობდით თავს და სულს მოვითქვამდით, მაგრამ ეს არ გაგვიკეთებია — დავეცემოდით, ავდგებოდით და ისევ ვაგრძელებდით გზას თქვენსკენ, თქვენ კი როგორ გვექცევით?

თქვენ ან საერთოდ არ იცნობთ საქართველოს ისტორიას და არ იცით, რა ტრაგიკული თავგადასავლები გადაიტანა მტრების ალყაში მოქცეულმა ამ პატარა ქვეყანამ ქრისტიანობის, ევროპული მენტალიტეტის და ცივილიზაციის შესანარჩუნებლად, ან იცით, მაგრამ ის ღირებულებები, რისთვისაც ჩვენ თავს ვწირავდით, თქვენ-



თვის უკვე მნიშვნელოვანი და ღირებული არ არის.

სამაგიეროდ, თქვენთვის მთავარი და უპირველესი გამხდარა გენდერული თემა, რომელიც ნელ-ნელა ახალი რელიგიის ფორმას იძენს და რომლის დამკვიდრებასაც ჯიუტად და მიზანმიმართულად ცდილობთ.

რა არის ამ ახალი რელიგიის ძირითადი არსი?

რა არის და ის, რომ ადამიანი არ იბადება მამრობითი თუ მდედრობითი სქესის წარმომადგენლად. ის იბადება უბრალოდ ბიოლოგიურ არსებად, რომელსაც საშუალება უნდა ჰქონდეს, მომავალში თვითონ გააკეთოს არჩევანი და თავად აირჩიოს სქესი — დაიბადოს კაცად, მაგრამ გახდეს ქალი, ან პირიქით — გაჩნდეს ქალად, მაგრამ გახდეს მამაკაცი. არავითარი დედა ან მამა — მშობელი №1, მშობელი №2. კაცს შეუძლია კაცი მოიყვანოს ცოლად, ქალს შეუძლია ქალი შეირთოს და ა. შ. და ა. შ.

აი, ასეთია მოკლედ და ზედაპირულად ის ფილოსოფია, რომლის თავზე მოხვევას ცდილობენ ახალი ეპოქის ახალი რჯულის მქადაგებლები, თუმცა ეს ახალი რჯული სულაც არ არის ისეთი ახალი, როგორიც ვიღაცებს ჰგონიათ.

ადამიანებს გადაავიწყდათ, რომ ეს ყველაფერი უკვე იყო ერთი საუკუნის წინათ, კერძოდ, 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ზუსტად იგივე ამბები დაიწყო რუსეთში, რაც ახლა დანარჩენ მსოფლიოში ხდება.

პირველი დეკრეტი წითელ რუსეთში სექსის შესახებ გამოქვეყნდა, თითქოს მშიერტიტველ პროლეტარიატს სექსის გარდა სხვა საზრუნავი არ ჰქონდა.

სექსი გამოცხადდა სრულიად თავისუფალ და ღია ურთიერთობის ფორმად.

ყველა ქალი ყველა მამაკაცის ცოლი, ყველა მამაკაცი საერთო მოხმარების ქმარი. ქალბატონები ქუჩებში აბსოლუტურად შიშვლები დარბოდნენ.

მთელი ამ მიმდინარეობის მთავარი იდეოლოგი — ლეიბა ბრონშტეინი, თავის კოლეგებთან ერთად საჯარო ორგიებს აწყობდა, ქმნიდნენ კომუნებს, სადაც ქალები და კაცები ჯოგურად ცხოვრობდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, მიმდინარეობდა ქრისტიანული რუსეთის სრული გარყვნა და გათახსირება და ეს მანამდე გაგრძელდა, სანამ სტალინმა ტროცკისტების პარპაში არ აღგავა პირისაგან მიწისა.

**მაშინ არც ლგბტ ორგანიზაციები არსებობდა, არც ევროკავშირი, მაგრამ არსებობდა რაღაც საიდუმლო, ძალიან მდიდარი და გავლენიანი ძალა, რომელიც მთელ კაცობრობას უტევდა და ავიწროებდა, რომ თვითონ წასულიყო წინ და მთელ მსოფლიოზე გავლენა და კონტროლი დაეწესებინა.**

ეს ძალა დღესაც ძალზე აქტიურად მოქმედებს და იგივე მიზნებს და ამოცანებს ემსახურება, რასაც ემსახურებოდა ერთი საუკუნის თუ ორი საუკუნის წინათ.

სწორედ ეს ძალაა ლგბტ კონცეფციის ავტორი, ძირითადად ეს ძალა აფინანსებს მის რეკლამა-პროპაგანდას და საერთაშორისო, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობამდე აჰყავს იგი.

ღმერთის წინააღმდეგ, ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ეს ბრძოლა იმდენად სატანისტური მეთოდებით მიმდინარეობს, იმდენად შეფარული და შენიღბულია ვითომ სიკეთით, ვითომ ჰუმანურობით, ვითომ თანაგრძნობით, ვითომ ტოლერანტობით, რომ ძნელი შესამჩნევია, როგორ ხდება ადამიანის ფრაგმენტიზაცია, მისი დახლეჩვა და დანაწილება, მისი არსებობის სრული რევიზია.

აი, ამ ძალამ შეუგდო კაცობრიობას, მათ შორის ევროპასაც, ლგბტ თემა.

**ძვირფასო ევროპელებო, თქვენ ვერ ხვდებით, რა სახიფათო ბომბზე შეგსვეს და რა მოგელით მომავალში, თუ ამ ბომბიდან დროულად არ ჩამოხვალთ ძირს. ბომბზე ზიხართ და ჩვენც ბომბზე გვეპატიჟებით?**

იმიტომ უნდა შევიდეთ ევროკავშირში, რომ ავფეთქდეთ?

როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტში შეჭრა სცადა, რასაც შემდეგ არაერთი დესტრუქციული და ხისტი ქმედება მოჰყვა, ამერიკის ელჩმა, ქალბატონმა კელი დეგნანმა რამდენჯერმე ღიად და ხაზგასმით უთხრა ოპოზიციას: ნუ აკეთებთ ამას. ერთადერთი, ვისაც ეს ხელს აძლევს და მის წისქვილზე ასხამს წყალს, რუსეთიაო.

იგივე პოზიცია ჰქონდა ევროკავშირის ელჩს, კარლ ჰარცელსაც, სხვა ქვეყნებისა ელჩებსაც.

ჩვენ, ქართველებმა, დიდი ხანია, ზუსტად ვიცით, რომ ნაციონალები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ და თანამშრომლობენ რუსეთთან, მაგრამ სასიხარულო იყო, რომ ამას უცხოელებიც მიხვდნენ და ხმამაღლა განაცხადეს ამის შესახებ.

გვეგონა, გვეშველა და ამიერიდან მაინც მოგვეცემოდა საშუალება, ქვეყანაში წესრიგი და ნორმალური ვითარება დაგვემყარებინა, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი იმედი — დაიწყო უკრაინაში ომი და სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა.

საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს მოსახლეობის კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე, უარი განაცხადა, შეერთებოდა სანქციებს და რუსეთის წინააღმდეგ საქართველოში მეორე ფრონტი გაეხსნა.

სწორედ ამან გამოიწვია „გადახრა“ „ნაცმოძრაობისა“ და სააკაშვილისკენ, რომელიც თურმე ისეთი მამაცი და უშიშარია, რომ, საშუალება თუ მიეცა, მეორე ფრონტსაც გახსნის, მესამესაც და ამ თავხედ ოკუპანტებს კუდით ქვას ასროლინებს.

ვიცით ჩვენ, ვინც არის სააკაშვილი — ის მამაცი და უშიშარი „გმირი“ კი არ არის, ერთი ავანტურისტი მთხლეა, რომელიც ყველაფერს იკადრებს, ყველაფერს შეასრულებს, რასაც უბრძანებენ და თავის ქვეყანას უყოყმანოდ გაწირავს და დაუნანებლად მოისვრის უფსკრულში, რადგან მას არც თავისი ქვეყანა უყვარს, არც ქართველი ხალხი და, საერთოდ, არავინ და არაფერი უყვარს, გარდა საკუთარი თავისა და ძალაუფლებისა.

ეს კაცი დაბადებიდანვე ფსიქიკურად ავად არის, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს იმ ძალებისთვის, რომლებსაც ჯიუტად სურთ, საქართველოში ომი დაიწყოს, ომის დამწყებად კი სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ნამდვილად ივარგებს!

მოდით, ერთი წუთით დავუშვათ: მოხდა უბედურება და საქართველოში მართლად გაიხსნა მეორე ფრონტი.

რა ხდება ამის შემდეგ?

ვის ვუხსნით ჩვენ ამ ფრონტს?

ვის ვუხსნით და აფხაზეთს და ე. წ. სამხრეთ ოსეთს, ანუ ჩვენს სისხლისმიერ ძმებს და ნათესავებს, აფხაზებს და ოსებს, ანუ იგივე შეცდომას ვიმეორებთ, რაც რუსებმა ჩაიდინეს — თავიანთ ძმებს რომ მიადგნენ დასახოცად.

**როგორც კი ამას გავაკეთებთ, როგორც კი ერთ ნაბიჯს გადავდგამთ აფხაზეთის და ცხინვალის მიმართულებით, იმ წამსვე, რუსეთთან ერთად, მთელი ჩრდილო კავკასია დაგვესხმება თავს, როგორც ეს გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა.**

ამერიკელებისა და ევროპელებისთვის ეს შეიძლება მნიშვნელოვანი ამბავი არც იყოს და, აქედან გამომდინარე, ალბათ არც ის ახსოვთ, მაგრამ ერთი ჩვენ გვკითხეთ, რა უბედურება დაგვატეხეს თავს „კონფედერატებმა“.

ათიათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა მათ სისასტიკეს, რომელთა უმრავლესობა წამებით და სადისტური მეთოდებით მოკლეს.

სწორედ ისინი იყვნენ, გაგრის სტადიონზე ქართველთა მოჭრილი თავებით რომ თამაშობდნენ ფეხბურთს.

სხვათა შორის, გაგრელი იყო გათახსირებული დავით არახამიას მამა, შვილზე უფრო გათახსირებული კაცი, რომელიც, როგორც კი გაგრის მთების ბილიკებიდან მთიელთა რაზმები გამოჩნდნენ, მაშინვე აფხაზების მხარეს გადავიდა. ეს ყველა გაგრელს ახსოვს, ვინც კი იმ დროს გაგრაში ცხოვრობდა.

აი, ამ მოღალატე კაცის შვილი, უჯიშო, უფესვო, უსამშობლოდ დარჩენილი არარაობა, ახლა ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებას ითხოვს და მსოფლიოს პოლიტიკური მამები ყურს უგდებენ.

კი, მაგრამ, არ გრცხვენიათ, ბატონებო, თქვენ, ნაბიჭვარ არახამიას და მისნაირებს სერიოზულ პარტნიორებად რომ მიიჩნევთ?

დიახ, იმას ვამბობდი, რომ აქ მეორე ფრონტს თუ გავხსნით, მთელი ჩრდილო კავკასია ჩვენ დაგვაცხრება თავზე და დამთავრდება კიდეც ქართული სახელმწიფოს არსებობა — ვერც ნატო დაგვიცავს, ვერც კოლექტიური დასავლეთი, არავინ არის ჩვენი დამხმარე და გამომსარჩლებელი, ა-რ-ა-ვ-ი-ნ!

ვიცით ჩვენ ეს, მწარე ისტორიული გამოცდილება გვაქვს და ამიტომაც ვცდილობთ, როგორმე მშვიდობიანი ფორმებით შევინარჩუნოთ ქვეყანა.

ერთადერთი „ხეირი“, ერთადერთი „სარგებელი“, რაც აქ მეორე ფრონტის გახსნას შეიძლება მოჰყვეს, ეს არის საქართველოს გარდაუვალი განადგურება და გაჩანაგება — სხვა „სიკეთეს“ აქედან ნურავინ გამოელის.

კი, მაგრამ, ამ „სიკეთისთვის“ ღირს ომის წამოწყება?

საქართველოს დაღუპვა რატომ არის გარკვეული ძალების მთავარი მიზანი?

რუსეთს ექადნებით და ემუქრებით და ამ დროს საქართველოს ეომებით და საქართველოს დამარცხება და დაჩოქება გინდათ?

რატომ? რა ლოგიკაა თქვენს ახირებულ სურვილში?

ჩვენ კი დავკარგავთ ჩვენს სახელმწიფოს, მაგრამ თქვენც დაკარგავთ უკანასკნელ ფეხმოსაკიდ ადგილს კავკასიაში.

მეასედ ვიმეორებ: რუსები თქვენსავით შორიდან კი არ არიან მოსასვლელები, აქ არიან, აქვე, ჩვენს გვერდით დგანან, ალყაში ვყავართ მოქცეულები და ხელის განძრევას არ გვაცლიან, ისე შეკრავენ მარყუჟს და მოგვგუდავენ.

ეს არის რეალობა, რომლის მიხვედრას დიდი სამხედრო ცოდნა და განათლება არ სჭირდება, თქვენ კი რატომღაც ვერ ხვდებით, უფრო ზუსტად, არ გინდათ მიხვდეთ და გაიგოთ.

რეზოლუცია, რომელიც ევროპარლამენტმა გამოაქვეყნა და რომელსაც 60 ევროპარლამენტარი აწერს ხელს, აშკარაა, რომ „ნაცმოძრაობის“ აქტივის მიერ არის დაწერილი თბილისში, იმდენად სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმ ფრაზებს, რომლებსაც ნაცები ასე წამდაუწუმ ისვრიან.

ევროპარლამენტია თუ „ნაცმოძრაობის“ სათაო ოფისი, რომელიც თავისი ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილ „დოკუმენტებს“



5 გვ. →



# ბებერი ევროპა, 732 უსაქმური და ცრუპენტელათა მიერ დაწერილი რეზოლუცია

8 ივნისს სტრასბურგში ჩატარდა ქვანახშირისა და ფოლადის მწარმოებელთა კრება. მათ ძალზედ მკაცრი ტონით განიხილეს საქართველოში დამოუკიდებელი, თავისუფალი მედიის დღევანდელი მდგომარეობა. რასაკვირველია, თქვენ უთუოდ დაგებადებათ შეკითხვა: სად ქვანახშირი, სად ფოლადი და სად კიდევ ქართული მედია? საქმე ის გახლავთ, რომ ევროპარლამენტი, რომელიც ამჟამად საფრანგეთში, ელზასის ისტორიულ დედაქალაქ სტრასბურგში გახლავთ განთავსებული და სადაც 732 დეპუტატი იყრის თავს, საფუძველი ჩაეყარა 1952 წლის 10 აგვისტოს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის წარმოების გაერთიანების პირველი საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე. ვინაიდან, ამ 732 მაღალხელფასიანი ადამიანის წინაპრები „მექვანახშირეები“ და „მეფოლადეები“ იყვნენ, მოვიხსენიოთ ისინიც ამავე პროფესიების მიხედვით, რა პრობლემაა? სხვათა შორის, თავიდან სულ რაღაც 142-ნი იყვნენ და არც ამხელა წარმოდგენები ჰქონიათ საკუთარ თავზე, არც ასეთი პრეტენზიები, არც ამნაირი პრინციპები, იყვნენ თავიანთთვის, არავის აწუხებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც 732-მდე გამრავლდნენ (კიდევ აპირებენ), რაც ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოების მაკონტროლებლებად ჩამოყალიბდნენ, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ე.წ. განვითარებად ქვეყნებში ფესვები გაიდგეს, თავები მსოფლიო მმართველებად წარმოიდგინეს.



ვალდის დომბროვსკისი

ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა **ვალდის დომბროვსკისმა** ევროპარლამენტში მიმდინარე დებატების დროს განაცხადა, რომ თავისუფალი, მრავალფეროვანი და დამოუკიდებელი მედია ნებისმიერი საზოგადოებისთვის აუცილებელია, რათა ხელი შეუწყოს და დაიცვას აზრისა და გამოხატვის თავისუფლება.

კარგი სადღეგრძელოა... ტაში, ამხანაგებო!

თუმცა, რა ტაში, რომელი გიტარა? მისტერ ვალდისმა თავისი უნიკალური უვიცობით ყველაფერი გააფუჭა:

„ბატონი გვარამიას წინააღმდეგ განაჩენი გამოტანილია ევროკავშირის არაერთგზის მოწოდების ფონზე. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, დაიწყოს ჟურნალისტების მიმართ ძალადობის საქმეების მიუკერძოებელი, ეფექტური და დროული გამოძიება, ასევე მოვუწოდებთ, გააუმჯობესოს ჟურნალისტებისა და მედიის სხვა პროფესიონალების დაცვა, უსაფრთხოება და უფლებამოსილება“.

გაიგონეთ? თურმე ბატონ გვარამიას წინააღმდეგ განაჩენი გამოიტანეს ევროკავშირის მოწოდებების ფონზე. გვიკიჟინეს, არ დააპატიმროთ, არ დააპატიმროთო, მაინც არ დავუჯერეთ და... აჰა, ხომ გაგვიტანეს კრებაზე? ისე, კაცმა სიმართლე რომ თქვას, საქართველოში ეგეთ რაღაცებს თავის დროზე კრემლიც კი არ კადრულობდა. რაღაც არ მახსენდება, „ცეკა კეპეესესი“ ამდენ წვრილმანში ჩარეულიყოს. წევრები მაინც ვიყოთ, როგორმე ავიტანდით, არც წევრები ვართ, არც კანდიდატები, არც ასპირანტები, არც პრაქტიკანტები, არც სტაჟიორები, ერთი ხელშეკრულებაზე ხელი მოგვაწერინეს, ათასნაირი ვალდებულება აგვაღებინეს და მორჩა, შენ დაუკა, ეხლა ჩვენ ჭკუაზე უნდა იაროთო.

როგორც უკვე გითხარით, 8 ივნისს გამოლაგდნენ და გაგვაკრიტიკეს. პრინციპში, ამას კრიტიკა კი არა, ცილისწამება უფრო ჰქვია. როდესაც სისულელეს გაბრალებენ და თან გასამართლებენსავით, მურტალია, ამას ვერ აიტან. ევროპარლამენტარმა **პეტრას აუსტრევიჩიუსმა** განაცხადა, რომ ევროკავშირი, როგორც ფუნდამენტური თავისუფლების დამცველი, იცავს და დაიცავს მედიის თავისუფლებას საქართველოში, მაშინაც კი თუ ამისთვის ხელისუფლებაში მყოფი პირების ღიად გაკრიტიკებაა საჭირო. მისივე თქმით, ისეთი მიუღებელი ქმედება, როგორიცაა კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების გაჩუმება, ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შეზღუდვა, მათ მიმართ ღია მუქარა და სამართლებრივი დევნა, საქართველოს ევროკავშირისგან აშორებს. მეტიც, თურმე ჩვენი ქვეყანა რამდენიმე წლის წინ მოწინავე იყო აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლო ხანებში მან დაკარგა თავისი სიჩქარე და დემოკრატიული რეფორმებისადმი მტკიცე ერთგულება, - ეს თქვა ევროპარლამენტარმა, ესტონეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა **მარინა კალიურანდმა**. გაიგონეთ? რამდენიმე წლის წინ საქართველო მოწინავე იყოო, ახლა კიდევ სიჩქარეს ველარ ანვითარებსო.



მარინა კალიურანდი

„საქართველოში მედიასთან დაკავშირებული მდგომარეობა საშინელია. ჟურნალისტებს ძალადობრივად ესხმიან თავს. არსებობს ჟურნალისტების დაშინების, მუქარისა და სამართლებრივი დევნის შემთხვევები და ბევრი გამოძიება მიმდინარეობს მედიამუშაკებისა და მფლობელების წინააღმდეგ“, - თქვა ევროპარლამენტარმა **მარკეტა გრეგოროვამ**.



პეტრას აუსტრევიჩიუსი

ესე იგი, ვინმე მარკეტა (თუ ნორმალური ხარ, შვილს მარკეტა რატომ უნდა დაარქვა?) სტრასბურგიდან მიყვება, საქართველოში მედიის მხრივ საშინელება ხდება, ჟურნალისტებს თავს ესხმიან, თან ძალადობრივადო. აჰა, ხალხო, თავად განსაჯეთ, როგორ უსინდისოდ ცრუობს ეს ქალი, ჩვენში ხომ ყველაფერი პირიქითაა? ამის შემდეგ, რასაკვირველია, სიმაღლის მიხედვით გამოლაგდნენ გავარვარებული „ნაციონალები“ და დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ეს ყველაფერი „ქართული ოცნებისთვის“ უნდა იყოს სახელმძღვანელო - ჯერ უნდა შეასრულოს მოთხოვნები, შემდეგ კი წავიდეს ხელისუფლებიდან, რადგან საქართველოს ევროპული მომავალი კიდევ უფრო ბუნდოვანი რჩება. ამას ამბობს ნაცდეპუტატი ლევან ბეჟაშვილი, საქართველოს ევროპული მომავალი ბუნდოვანიაო, თუ ჩვენ ვიქნებით ხელისუფლებაში, გაცისკროვნებული იქნებაო. ლევანა ბეჟაშვილი რას მიედმოედება, სულ არ მაინტერესებს, აქ საყურადღებო ის გახლავთ, რატომ მღერიან ერთ ხმაში მარკეტა, ლევანა, იმანა და ამანა? იმიტომ, რომ ესენი იმათ (ათიოდე ევრომაიმუნს) ფულს უხდიან, ხელფასები აქვთ ჩვენი ბიუჯეტიდან დანიშნული. პირველი უბედურება ის არის, რომ კანონმდებლობის თანახმად, ჩვენ „ნაცმოძრაობას“ ფულს ვუხდით, მეორე უბადურება კი ისაა, რომ „ნაცები“ ამ ფულს ე.წ. ლობისტების ჯიბეებში ლექავენ.

ეს გახლდათ, მეგობრებო, წინასარეზულაციო გამოხტომები. გამოგიტყდებით, მე პირადად არ მეგონა, თუ მეორე დღეს, 9 ივნისს რეზოლუციაში ამდენ სისულელეს ჩაწერდნენ და იქვე ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებასაც მოითხოვდნენ. მეტიც, სულ არ მეგონა, თუ ეგზომ „განათლებული“ ევროპიელები ამავე რეზოლუციაში ყაჩაღ კეზერაშვილსაც ახსენებდნენ და მედიის ჩაგრულ მეპატრონედაც მონათლავდნენ. ავოიეეეეე!!!

უკვე გითხარით, რამდენიმე წერტილიდან გაგვიხსნეს ცეცხლი და ერთის სამიზნე ბიძინა ივანიშვილი გახლავთ. ამ კაცს უვლიან გარშემო, მშიერი მგლებივით დასუნსულებენ. საქართველოსთვის მთავარი პრობლემა ბიძინა ივანიშვილიაო.

საქართველო უნდა დატოვოს, ხელისუფლებაში ჩვენ მოვალთ და სუპერ-სახელმწიფოს ჩამოვაყალიბებთო... დიახ, ჩვენ ვიზამთ ამას, იმანოშვილები და ამანოშვილებიო. მართალია, დღემდე თითი თითზე არ დაგვიკარებია, ერთი ქვა არ გადაგვიბრუნებია, ერთი ხე არსად ჩაგვირგავს, ერთი თესლი არსად ჩაგვიგდია, მაგრამ არ იდარდოთ, აწი ყველაფერს გავაკეთებთ, დასვენებული ხალხი ვართო.



ანა ფოტიგა

წავიდესო... სხვაგან გადასახლდესო... დემოკრატიის შენებაში ხელს გვიშლისო.

დავუშვათ, სადმე წავიდა, ცხრა კუნძულს იქით გადასახლდა, მაინც იტყვიან, ამ ქვეყანას იქიდან მართავს, პლურალიზმის ხარისხს აუარესებს, სასწრაფოდ უნდა გადადგესო.

დავუშვათ, მარსზე გადასახლდა, მაინც პრეტენზიები ექნებათ!

სანამ ეს კაცი ცოცხალია (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს), მანამდე ექნება ამ ქვეყნის ცხოვრებაზე გავლენა!

ამას ყველა უნდა შეეგუოს, მტერიც და მოყვარეც!

დიახ, სადაც არ უნდა წავიდეს, სადაც არ უნდა გადასახლდეს, უჩინმაჩინის ქუდიც რომ დაიხუროს, მის მიერ გაკეთებულს ვერავინ წაშლის!

ევროპარლამენტში, დასაწყისშივე ვთქვი, 732 დეპუტატია, აქედან მხოლოდ ექვსიოდე კლიმაქსიანი ყბედობს, თან მხოლოდ პოსტსაბჭოელები. შევიდნენ ევროკავშირში და ჰგონიათ, აქეთ ჭკუაზე უნდა გვარიგონ!

არსებობს მოსაზრება, რომ ბიძინა ივანიშვილთან სხვა ანგარიში აქვთ... ალბათ გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ მან შვეიცარიულ ბანკს დიდი ფინანსური თაღლითობის ფაქტზე სასამართლო დავა მოუგო, 500 მილიონი დოლარი დაიბრუნა. როგორც ამბობენ, ბანკს ამ თანხის გადახდა არ უნდა, თუ ივანიშვილს სანქციებს დაუწესებენ, მაშინ თაღლითები თავს გაიმართლებენ, სანქცირებული ოლიგარქი ჩვენც უნდა დავსაჯოთო. არ ვიცი, ეს ვერსია რამდენად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ ლოგიკურად რომ გამოიყურება, ალბათ თქვენც ხედავთ.

ევროპარლამენტარი **ანა ფოტიგა** აქეთ გვამადლის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ასეთი საშინელი ამბები ხდება, ჩვენ მაინც უნდა მივანიჭოთ ევროკავშირის სტატუსი, რათა ქვეყანა პოსტსაბჭოურ ჭაობში არ ჩავტოვოთ და ქართველი ხალხი არ დავსაჯოთო. ეგეთი სასაცილო ადამიანები ცხოვრებაში არ მინახავს - გამოდის, საქართველოს მოსახლეობა იმსახურებს კანდიდატობას, ხელისუფლება - არა. ეს რანაირი ლოგიკაა, ეს ხელისუფლება ხომ ამ მოსახლეობამ აირჩია, 10 წლის განმავლობაში ირჩევს და კიდევ კაი ხანს აირჩევს? დიახ, კაი ხანს, რადგან ვინც ხელახლა მოსვლაზე ფიქრობს, ის უკვე ყავლგასული ბოროტებაა და მისი განმეორება შეუძლებელია. რაც შეეხება ფოტიგას „ბრძნულ“ გამონათქვამებს საბჭოთა ჭაობში ჩატოვებასთან დაკავშირებით, რა გამოდის? ესე იგი, ჩვენ ამჟამად საბჭოთა ჭაობში ვიმყოფებით? უკაცრავად, მაგრამ მე პოლონელი ანა უფრო მგონია იმ ჭაობში ჩარჩენილი, მან ხომ მთელი თავისი კარიერა კომუნისტურ სისტემაში გაიკეთა და ვაჭარ-ეკონომისტის განათლებაც მაშინ მიიღო? უი, ფოტიგას სამშობლო ავტომატურად რომ ჩარიცხეს ევროკავშირში, ეგრევე ავტომატურად ამოვიდა ჭაობიდან?



მარკეტა გრეგოროვა

ეს არ გახლავთ რეზოლუცია, ეს არის სისულელეებით გატენილი წერილი, რომლის გამოც ევროპარლამენტმა უნდა მოიხადოს ბოდიში. საქართველომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. თუ ევროკავშირს გადაწყვეტილი აქვს, რომ საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, აჰყაროს პატივი დაღირსება, მაშინ საერთოდ არ გვინდა არანაირი კავშირის წევრობა. დიახ, ასეთი აზრი აქვს საქართველოს მოსახლეობის 95%-ს. მორჩა!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# რას ერჩის ევროპარლამენტი საქართველოს, ქართველ ხალხს და მის ხელისუფლებას?!

← 3 გვ.

ბეჭდით ამოწმებს, ხელს აწერს და თავისი სახელით და ავტორიტეტით გამყარებულს აქვეყნებს.

60 ნაციონალი პარლამენტარი, 60 სააკაშვილისტი თუ გიზით თქვენ ევროპარლამენტში, ბარაქალა თქვენს ორგანიზაციას.

ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგრჩეს, რომ ვიღაც-ვიღაცებს ომის დაწყება საქართველოში მხოლოდ იმიტომ უნდათ, რომ სააკაშვილი და მისი ბანდა დააბრუნონ ხელისუფლებაში და მზად არიან, ამ „წმინდათაწმინდა“ საქმეს ქვეყანა მსხვერპლად შესწირონ.

კი, სააკაშვილი დაწყებით ომს კი დაიწყებს, მაგრამ დამთავრებით ზუსტად ისე დაამთავრებს, როგორც 2008 წლის აგვისტოში დაამთავრა — როგორც კი პირველ რუსულ პანჩურს მიიღებს, ის და მისი „უშიშარი“ გუნდი თავქუდმოგლეჯილი გაიქცევა ბრძოლის ველიდან და სდიეთ მერე კუდში.

— ეს რეზოლუცია იმიტომ იქნა ასე ოპერატიულად გამოცხობილი, რომ საქართველო არ მიიღონ ევროკავშირის წევრობის კანდიდატად, — აცხადებენ ექსპერტები და ანალიტიკოსები.

არ მიგვიღებენ და, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ჩვენ სამათხოვრო არაფერი გვჭირს, ჩვენ არაფერს ვითხოვთ ისეთს, რაც არ დაგვიმსახურებია.

მადლიერების განცდა თუ არსებობს ამ ქვეყანაზე, საქართველო, იმ საქმეების სანაცვლოდ, რაც მას გაუკეთებია მისი საერთაშორისო პარტნიორების სასარგებლოდ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი კი არა, ევროკავშირის წევრიც უნდა იყოს და ნატოს წევრიც.

ეს იქნებოდა სამართლიანი, ობიექტური და ნამუსიანი გადაწყვეტილება, მაგრამ თუ ამის გაკეთება არ გსურთ, ქვეყანას მაინც ნუ დაგვინგრევთ წინასწარ წაგებისთვის განწირულ ომში ჩაბმით, რომელიც ხარაკირის იძულებას უფრო ჰგავს, ვიდრე საკუთარი ნებით შეგნებულად და გააზრებულად მიღებულ გადაწყვეტილებას.

დაბოლოს,

სულ ტყუილად ჰგონია „ნაცმოძრაობას“, მის სატელიტებს და მის ფარულ და საიდუმლო მოკავშირეებს, რომ ჯერ „ქართულ ოცნებას“ დაამხობენ, მერე სააკაშვილს მოიყვანენ ხელისუფლების სათავეში, მერე სააკაშვილი მეორე ფრონტს გახსნის საქართველოში და საქართველო „ცივილიზებული“ სამყაროს ერთიანი ფრონტის ხაზს შეუერთდება.

გამოდის, რომ რადიკალური ოპოზიცია, ანუ „ნაცმოძრაობა“, თავის კრიმინალ პარტნიორებთან ერთად, საქართველოში სამოქალაქო ომისთვის ამზადებს ნიადაგს და, ალბათ, იარაღის გამოყენებით შეეცდება, ხელისუფლებას გაუსწორდეს, მერე კი გაუსწორდეს ქართველ ხალხს და მისთვის ჩვეული მეთოდებით დათრგუნოს, მოდრიკოს, დაიმორჩილოს.

ნაციონალების მხრიდან ამგვარი მცდელობა შეიძლება მათთვის საბედისწეროდ დამთავრდეს — ქართველ ხალხს იმდენად ყელში აქვს ამოსული მათი უტიფრობა, ცინიზმი, თავხედობა, ქართველ ხალხს იმდენი ბრაზი, რისხვა და ბოღმა აქვს დაგროვილი სადისტი ნაციონალების მიმართ, ყოველივე ამან ერთბაშად თუ ამოხეთქა, „ნაცმოძრაობას“ დედაფუძიანად წალეკავს.

ასე რომ, ცეცხლს ნუ ეთამაშებით თქვენ, ავაზაკებო, თორემ ყოველთვის არ გაგივათ ოინბაზობები.

არავის გასვლია და არც თქვენ გაგივათ — დამიჯერეთ!

მე მთლიანად ქართველი ხალხის სახელით, ცხადია, ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ზედმიწევნით კარგად ვიცნობ ქართველი საზოგადოების საერთო განწყობას და პოზიციას.

**მერწმუნეთ, ქართველი ხალხი არც „ნაცმოძრაობას“ მოუშვებს ხელისუფლებაში, არც ბიძინა ივანიშვილის დევნის და შევიწროების უფლებას მისცემს ვინმეს, არც ირაკლი ღარიბაშვილის და იმ მთავრობას არ დააჩაგვრინებს არავის, რომლებიც ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგანან.**

რასაც ისინი აკეთებენ, ეს ნამდვილი გმირობაა და ქართველმა ერმა ამ გმირობის ფასი ძალიან კარგად იცის.

ასინეთას კანტრად ქცეული „ნაცმოძრაობის“ ოფისი, მელიები, ხოშტარიები, დეკანოიძეები, მამულაშვილები, ხაბეიშვილები, სხვანი და სხვანი, თვითონ თხზავენ კოშმარულ ტყუილებს, მერე თვითონვე იჯერებენ მათ მიერვე მოჩმახულ სისულელეებს და დანარჩენ მსოფლიოს არწმუნებენ, რომ საქართველოში საგანგაშო მდგომარეობაა და ისინი თუ არ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, ქვეყანა დაიღუპება.

კი, მაგრამ, რატომ ჰგონიათ ამ თავად იდიოტებს, რომ ევროპარლამენტში, ამერიკის კონგრესში სულ იდიოტები სხედან და ამათ ვირეშმაკობას, ამათ ფალსიფიკატორობას, ცრუპენტელობას და გათახსირებულობას ვერ ხვდებიან?

არა არს დაფარული, რაიც არ გაცხადდესო, ნათქვამია.

თქვენი „ნაკაიკაცარიც“ აუცილებლად გაცხადდება, ნაცებო და ხვალ იქნება თუ ზეგ, თქვენ უმკაცრესი პასუხი მოგეთხოვებათ ყველაფრისთვის.

საქართველოს სხვადასხვა რეფორმებს, სხვადასხვა ცვლილებებს სთხოვენ, რომ ევროკავშირში ჩვენი მომავალი გაწევრიანება უფრო გაადვილდეს.

ცვლილებები რაღა მიმართულებით, ალბათ, მართლაც საჭიროა, მაგრამ, ალბათ, ევროკავშირმა, ევროპარლამენტმა თავადაც უნდა შეცვალოს ეს უცნაური, ზოგჯერ გაუგებარი და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საქართველოსადმი.

# მე ვიტყვი ხმამაღლა: საჯიჯგნად არავის მივუგდებთ ბიძინა ივანიშვილს და ყველა ნახავს, როგორ დადგება საქართველო ფეხზე



მე ვიტყვი ხმამაღლა: საჯიჯგნად არავის მივუგდებთ ბიძინა ივანიშვილს და ყველა ნახავს, როგორ დადგება საქართველო ფეხზე და რას გააკეთებს, როგორი მტკიცე იქნება ჩვენი ერთობა. ეს ნიშნავს, რომ ამომრჩევლების უდიდესი ნაწილის წინააღმდეგ წავიდნენ ამ რეზოლუციით, თუ რას ნიშნავს ბიძინა ივანიშვილზე სანქციების დაწესება, გამაგებინეთ. ადამიანზე, რომელიც 2012 წელს მოვიდა და რადიკალურად შეიცვალა ყველაფერი, მაგრამ ახია ჩვენზე.

მაგათმა ჯერ კიდევ არ იციან, რა არის საქართველო...

მოვიდეს 23-24 რიცხვი და ვნახავთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, რა არის ეს, შანტაჟია? რეზოლუციაში ბიძინა ივანიშვილი და მასზე სანქციები ხუთჯერ და ოთხჯერ რომ მეორდება, ვინმეს ჰგონია, რომ შანტაჟს წამოვეგებით?..

ჩვენი ქვეყანა ომში არ ჩაებმება და ხელისუფლება ისჯება სწორედ იმიტომ, რომ მშვიდობაა ქვეყანაში...

თუ ჩვენი ომში ჩათრევაზე გადის ევროპის გზა, მაშინ ჩაიკეტოს, არაერთხელ ჩაკეტილა და ახლაც ჩაიკეტოს...

ჩვენ არ ამოვწყდებით — ჩვენ ვართ ერი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ჩვენამდე მოიტანეს და ჩვენც უნდა გავაგრძელოთ ეს გზა და ვისაც ჩვენი ამოწყვეტა უნდა და ჩვენზე ქულების დაწერა, რომ თურმე უნდა ებრძოლოს საქართველო რუსეთს და ასე შემდეგ, ამას ვერ ეღირსებიან...

უმრავლესობით არჩეულ კაცს, პირდაპირ შემოსულს ისტორიაში, ღმერთის გადმოგდებულს, რომელმაც იმ უბედურებას გადაარჩინა საქართველო, თქვენ როგორ გგონიათ, ამ კაცს საჯიჯგნად მივუგდებთ ვინმეს?..

როგორც ჩანს, იმუშავეს და მიაღწიეს ამ რეზოლუციას, ეს არის მაგათი მაქსიმუმი, დანარჩენს უნდა მიაღწიონ ხალხში, საქართველოს მოსახლეობაში და საქართველოს მოსახლეობა თუ ამაზე ხელს მოაწერს და ორ შაურად გაყიდის ბიძინა ივანიშვილს, მაშინ ყველაფრის ღირსები ვყოფილვართ“.

**გია გაჩეჩილაძე, „უცნობი“**
ტვ „იმედი“

# დუმილი ახლა თვითმკვლელობის ტოლფასია!

## საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მიმართვა საზოგადოებას

**მწერალთა ეროვნული აკადემია მოუწოდებს შემოქმედებით კავშირებს, აკადემიებს, შემოქმედებით გაერთიანებებს, კულტურის ცენტრებს, კინოსა და თეატრალურ საზოგადოებებს და, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და მწერალთა 1000-კაციან კავშირს, გამოხატონ საკუთარი პოზიცია მსოფლიოში და საქართველოს ირგვლივ განვითარებულ მეტად სახიფათო პროცეზებზე, ქართველი ერის ჩართვის მცდელობაზე ახალ, XXI საუკუნის აპოკალიფსურ მოვლენებში, ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების მცდელობაზე და ა. შ.**

**აუცილებლად მიგვაჩნია ერთი გაერთიანებული შეხვედრის გამართვა საერთო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზნით. სამეცნიერო, კულტურული ელიტური საზოგადოების ერთიან პოზიციას და გავლენას ქვეყნისა და ერის გადარჩენისთვის ბევრი რამის შეცვლა შეუძლია გლობალური კატასტროფის თავიდან აცილების თვალსაზრისით.**

**დუმილი ახლა თვითმკვლელობის ტოლფასია!**

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია**

**საკონტაქტო ტელეფონი:**
**595 57 99 43; 593 44 04 01**

# პოლიტიკური მაფია – „ნაცმოძრაობა“, ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება!

## ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დევნა უნდა შეწყდეს!



***გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე:***

**— ბატონო დიმიტრი, რეზოლუციის თანახმად, სააკაშვილი დემოკრატიის მთავარ დამცველად და თავისუფალი მედიის გულშემატკივრად წარმოაჩინეს, გვარამია კი პოლიტ.პატიმრად, რომელსაც ევროპარლამენტმა მედიაწამებულის მანტია მოასხა. რეალურად, რასთან გვაქვს საქმე?**

— ჩემი შეფასება შემდეგია: სამწუხაროდ, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც შავს თეთრს უწოდებენ, ღირებულებები მთლიანად აღრეულია და ა.შ. ამის მერე, ევროპარლამენტის რეზოლუციის შინაარსი გასაკვირი აღარც არის. ივანიშვილის წინააღმდეგ, პირდაპირ, ბრძოლა არის გამოცხადებული. დიმიტრი ხუნდაძემ ძალიან მართებულად და პირველად განაცხადა: თუ საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი გარკვეულ ფუნდამენტალურ ღირებულებებზე უარის თქმის ხარჯზე უნდა მიიღოს, ეს არაფრად გვიღირსო. ანუ, რეალურად ეს გამოცხადებული ცხელი ომის ფაზაა. აშკარაა, რომ გლობალიზმი, ლიბერალიზმი, გენდერიზმი სახელმწიფოს სუვერენულ ცენტრიზმს ეჯახება. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებას — მთავრობას ან პარლამენტს არ ვგულისხმობ, არამედ იმ ძირითად ღერძს, რომლის გამრუდებასაც უკვე 30 წელია ცდილობენ. კოლექტიური დასავლეთი ცრუ დაპირებებით გვკვებავს და ვითომ, არჩეული კურსის ერთგულებაზე გვაფიცებს. სინამდვილეში, აღმოჩნდა, რომ ეს კურსი პროფანაციაა. საქართველო 1999 წელს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა გახდა. ყველას გვახსოვს, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ცნობილი ფრაზა: მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი. ეს ფრაზა ბევრმა აიტაცა და ძირითად სლოგანად აქცია ის, რომ ქართველი ხალხი, საქართველო ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობას იმსახურებსო. მაგრამ რა ნაბიჯები გადაიდგა შემდგომ, როგორი დემოკრატიული და სოციალური ექსპერიმენტების მსხვერპლი აღმოჩნდა საქართველო „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული ე.წ. ხელისუფლების ხელში, რა დროსაც, ფაქტობრივად, ქართველების წინააღმდეგ, ეთნიკური ნიშნით, ნადირობა გამოაცხადეს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ქართველ ერზე წნეხი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ წარმოუდგენელი იყო საზოგადოებას ამ დიდი ბოროტების წინააღმდეგ, რასაც სააკაშვილის რეჟიმი ერქვა, კონსოლიდაცია მოეხერხებინა. შევარდნაძემ წასვლის წინა დღეს ამ რეჟიმის შესახებ „იწინასწარმეტყველა“ კიდეც. მან, კარგად იცოდა — ვის გადასცა ესტაფეტა. დიახ, შევარდნაძემ წასვლის წინ თქვა: საქართველოში ახალი 1937 წელი მოდისო. მან ზუსტად იცოდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი რეფორმატორების იმ პოლიტიკურ სექტასთან იყო კავშირში, რომლის მთავარი სლოგანია: მიზანი ამართლებს საშუალებას და ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია. ასევე, მისი ერთ-ერთი მთავარი სლოგანი პარაგვაის დიქტატორის დევიზი იყო — მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენებს — კანონი. სწორედ ამ სამი პრინციპით მართავდა ქვეყანას სააკაშვილი 9 წელი. ამ პერიოდში, ყოველწლიურად, უკანმოუბრუნებლად ქვეყნიდან გადიოდა, დაახლოებით, 80 ათასი ადამიანი; პატიმრების რიცხოვნობით, 100 ათას სულ მოსახლეზე, მსოფლიოში მეორე და ევროპაში პირველი ადგილი გვეკავა; გამამართლებელი განაჩენების ჯამური წლიური რაოდენობა 0,019 მეასედს შეადგენდა; პენიტენციურ სისტემაში, საშუალოდ, 160 პატიმრის გვამს კვეთდნენ. პათანატომიური კვლევის შედეგებში შავით თეთრზე ეწერა, რომ ადამიანების გარდაცვალების მიზეზი ფიზიკური ძალადობა იყო. აი, რა გამოვიარეთ 9 წლის მანძილზე. 2012 წელს ღმერთის სასწაულმა ივანიშვილს შეაძლებინა ამ უსაშინლესი კომატოზური მა კოლხეთის დაბლობზე არსებული სოფლების პირისაგან მიწისა აღგვას ითვალისწინებდა, ასევე, იქ, მყოფი მოსახლეობის ლაზიკას ურბანულ ზონაში გადაყვანას, სადაც კანონმდებლობა ბრიტანული იქნებოდა. ანუ, იქ, ქართული კანონმდებლობა არ გატარდებოდა. აი, ეს განზრახვები ამოძრავებდა სააკაშვილს და მის ზურგს უკან არსებულ პოლიტ.ელიტას კოლექტიური დასავლეთის სახით, რომელსაც ქართული ეროვნული სახელმწიფოს ორიათასწლოვანი უწყვეტი სახელმწიფოებრივი ტრადიცია ყელში ჰქონდა ამოსული. მათ მიზნად დაისახეს, რომ ერთხელ და სამუდამოდ საქართველო, ფორმალურად, „გეორგიად“ დარჩენილიყო და როგორც ტერიტორია ზესახელმწიფოებს შორის დაპირისპირების პოლიგონად გამოეყენებინათ. ანგლოსაქსური გეო-პოლიტიკის მამები დღემდე არ იშურებენ ძალას, ენერგიას, რათა ეს პროცესები მოქმედებაში მოიყვანონ.



მდგომარეობიდან გამოვეყვანეთ. სააკაშვილის რეჟიმი რომ გაგრძელებულიყო, იგი ნამდვილად აღასრულებდა სინგაპურიზაციის გეგმას, ოღონდ, შემდეგი პირობით: ეთნიკური მოსახლეობის ნაწილს გაჟუჟავდნენ, ნაწილიც — ქვეყანას დატოვებდა. ანუ, რეალურად, განდევნისა და გაღატაკების პოლიტიკის შედეგად, ჩვენსავე ქვეყანაში მკვიდრი მოსახლეობა 15-16% უნდა დავრჩენილიყავით. ამაზე ისიც მეტყველებდა, რომ ლაზიკას სააკაშვილისეული გეგ-



**— თუმცა, როგორც ჩანს, საქართველომ მათ ამ გეგმის განხორციელებაში ხელი შეუშალა?**

— დიახ, ბიძინა ივანიშვილმა ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში გადაწყვიტა, რომ სუვერენული დემოკრატია ყველა თავსმოხვეულ სარეკომენდაციო საშინაო დავალებაზე მაღლა დაეყენებინა. სწორედ, ამან გამოიწვია კოლექტიური დასავლეთის მიერ წითელი ხაზების გადაკვეთა. პირველი და უმთავრესი, რაშიც ეს ყველაფერი გამოიხატა, უკრაინის კრიზისში საქართველოს მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი გახლავთ. დიახ, მათ სურდათ, უკრაინის კრიზისში, საქართველო უშუალო თანამონაწილე ყოფილიყო იმ პროცესებისა, რაც უკრაინის ხელისუფლებას საშინაო დავალებად განუსაზღვრეს. ანუ, საქართველოც ცეცხლის ალში უნდა გახვეულიყო. დასავლეთისთვის, ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი მარიონეტები: ზელენსკები, არისტოვიჩები, პოდოლიაკები, დანილოვები, ერმაკები ღიად ამბობდნენ: სწორედ, ახლა, უკრაინისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ, ფიზიკური ძალის გამოყენებით, საკუთარი ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება დაიწყოს. საუკეთესო დროა იმისთვის, რომ სწორედ, დასავლეთის მხარდაჭერით საომარი მოქმედებებით, დეოკუპაცია განხორციელდესო. მეტიც, ამ პროცესში უნდა ჩართულიყო მოლდოვა, სადაც სერიოზული პროვოკაციები დაიგეგმა. აქვე, ცეცხლის ალი ვერ დაანთეს ყაზახეთში, უფრო ადრე კი — ყირგიზეთსა და უზბეკეთში. ასევე, ვერ შეძლეს თალიბანის შუააზიის მიმართულებით მიქსევა მიუხედავად იმისა, რომ მათ 80 მილიარდი დოლარის სამხედრო ტექნიკა დაუტოვეს. აქაც, ევრაზიულმა დიპლომატიამ ძალიან სერიოზულად იმუშავა. ჩინურ დიპლომატიას უზარმაზარი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ თალიბანმა შუააზიის მიმართულებით სამხედრო პოლიტიკური ექსპანსია შეაჩერა. ანუ, პოსტ.საბჭოურ სივრცეში, რომელიც რუსეთის უსაფრთხოების პასუხისმგებლობის პირდაპირი საგანია. აქვე, არ უნდა გამოგვრჩეს ბელორუსიც, სადაც დასავლეთი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა დაძაბულობას. იგი, თვეების მნძილზე დიასახლისს, ვინმე ტიხანოვსკაიას პოლიტიკურ ლიდერად აცხადებდა, რომელმაც თითქოს, საპრეზიდენტო არჩევნები ლუკაშენკოს მოუგო. ყველა ღონე იხმარეს, რათა ბელორუსში სტაბილურობა შეერყიათ, რაც არ გამოუვიდათ და შედეგად, უკრაინის ამარა დარჩნენ. უკრაინის 100-დღიანი კრიზისის მერე გაირკვა, რომ ამ ომში გარდამტეხი უპირატესობით რუსეთი სარგებლობს. ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ამ

8 გვ.



# განგაში

## კაცს, რომელსაც ნობელის პრემიას უნდა გადასცემდეს მსოფლიო, მისი აშენებული სამშობლოდან უპირებენ განდევნას?

კობა არაბული

მკაფიოდ უნდა ვთქვათ, რომ აღმაშფოთებელიაა ის გარემოება, რასაც ქართველი ნაცები და ევროლიბერასტები ლამობენ: სანქციები დაუწესონ კაცს, ქართული კულტურისა და პოლიტიკის ბრწყინვალე მესვეურს, ერის ქომაგსა და მეცენატს, მეოხს ავადმყოფთა და დავრდომილთა...

პიროვნებას, რომელმაც პროკრუსტეს სარეცელიდანააყენა და სააკაშვილის მორგებიდან გამოიყვანა განწირული ერი...

ქართველი ერი და მსოფლიო კულტურული საზოგადოება მას, ბიძინა ივანიშვილს, ამ სრულიად უნიკალურ ფენომენს, ძეგლს უნდა უდგამდეს და ნობელის პრემიას გადასცემდეს ომით დანგრეულ, ოკუპირებულ ქვეყანაში მშვიდობის აღდგინებისთვის და ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი შემწყნარებლობისთვის და ოპოზიციური ექსტრემიზმის ერთგვარი ჰუმანიზაციისთვის.

მას ნობელის პრემიას უნდა გადასცემდეს მსოფლიო საკუთარი სახსრებით ურიცხვი ეკლესია-მონასტრის, კულტურის კერების, მუზეუმების, კინოთეატრების, სკოლებისა და უნივერსიტეტების რეაბილიტაციისა და მშენებლობისთვის, ზოგადად, ისტორიული ცივილიზაციის დაცვისთვის.

ურიცხვი გაჭირვებულისთვის: ხელოვანისთვის, მეცნიერისთვის, საერო მოღვაწისთვის საარსებო სახსრის გაჩენისთვის, მრავალი მძიმე ავადმყოფის მკურნალობისთვის...

მას ქართველი ერი და მსოფლიო უნდა უდგამდეს ძეგლს და გადასცემდეს ნობელის პრემიას, როგორც უნიკალურ მოვლენას ქართველი ერის ისტორიაში მსოფლიოს მეცენატთა სივრცეში საქველო, კეთილშობილი, უანგარო საქმეებისთვის.

ესენი კი, ეს ევროლიბერასტები, ქართველი ნაციონალი ავაზაკების კარნახით, მისთვის საკუთარ სამშობლოში სანქციების დაწესებას ლამობენ, ძალადობენ, სამშობლოდან მის განდევნას ცდილობენ.

ეს არის ქართველი ერის, მისი კულტურის, მისი მორალური და ნებელობითი სახის წაშლა და შეურაცხყოფა. ეს არის ევროლიბერასტების ომის ფორმა ქართველთა ღირსების და მენტალობის წინააღმდეგ.

●

მე მეგონა, მეცნიერები ხმას ამოიღებდნენ ამაზე და თამაზ წივწივაძის საღამო საბაბი იქნებოდა პროტესტისთვის. სხვა რა დარჩა აკადემიის საქმედ, სააკაშვილმა უუფლებო პენსიონერთა პანთეონად რომ აქცია, გარდა სიტყვის და ხმის ამოღების...

განა ასე იქცეოდნენ არანაკლებ რთულ დროში XIX საუკუნის სწავლულნი, მწერალნი და მეცნიერნი (თუნდაც ივანე ჯავახიშვილი)?

ილია ჭავჭავაძემ და ხუთიოდე თითზე ჩამოსათვლელმა მწერალმა გადაარჩინა XIX საუკუნის საქართველო და დღესაც იმ ინერციით მოვდივართ.

●

კავშირის წევრი 1000 მწერალი დუმს დღეს და არიან რაღაც ქონების ნარჩენების ქირავნობა-გაქირავების და ფარატინა ქაღალდების ფრიალის გაწამაწიაში...

მარტო „ასავალ-დასავალისა“ და „საერთო გაზეთის“ და მხოლოდ მათი რამდენიმე ჟურნალისტისა და სამიოდე მწერლის ღაღადისი უშველის ქვეყანას? უმორალო უდაბნოს დუმილს და ციხის გამტეხთა ღალატის ფსიქოლოგიას?

●

ინდოევროპელებმა ჯერ კიდევ უძველეს შუა საუკუნეებში დროგებით გადაუარეს იბერიას აზიიდან ევროპამდე. კავკასიაში გადარჩენილ იბერებს ახლა, XXI საუკუნეში, თავიდან მოგვიბრუნდნენ, როგორც „ცივილიზებული“ კლონირებული ბარბაროსები.

მოგვიბრუნდნენ მორალზე მოძალადე მენტორებად და მენტალობის წასართმევად...

ისმის კითხვა: მაინცდამაინც რატომ უნდა იყოს ასპირანტი, ან ვიღაცის აბიტურიენტი უძველესი კულტურის, დამწერლობის, ანუ რუსთველის და ფარნავაზის ერი ვინმე ლიბერასტი ფსევდოდემოკრატი კოლონიალისტების მონა და მორჩილი?!

რაც ახლა ხდება, ეს არის ევროლიბერასტების მონღოლოიდური იერიში საქართველოზე...

ეს არის XXI საუკუნის კრწანისი თავისი მოღალატეებით, შიდა (ჩვენი „საკუთარი“) ბერძენიშვილ-ასატრიანცების და გარე — ევროპარლამენტარი ვამპირი დეპუტატებით...

რა უნდათ, რას გვკარნახობენ? ანუ, შოთა რუსთველისა არ იყოს: „რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ“, რა ჭორი მოუწერიათ?!

რას გვიწესებენ, რას გვიდგენენ ამ აღმაშფოთებელი დადგენილებით ევროპარლამენტარი ლიბერასტები?

რატომღაც ნაციონალი ექსტრემისტების ნარატივს რომ გვტენიან — სააკაშვილების, გვარამიების და მათთანათა გათავისუფლების მოთოვნით?! რუსეთ-უკრაინის ომში ჩათრევას გვაძალებენ. ეს არის მათი პოლიტიკის ღია და ფარული ქვეტექსტი — მათი ბარბაროსული ამოცანა.

ისინი, ევროპარლამენტარები, ამ დადგენილებით, საკუთარ ქვეყანაში ყოფნისთვის, ერის მკვდრეთით აღდგინებისთვის, ანუ სააკაშვილის ტირანიისგან გამოხსნისთვის, სანქციებს უწესებენ ივანიშვილს. ფაქტობრივად, სამშობლოდან ყრიან ავადმყოფთა და გაჭირვებულთა მეოხს, ერის ქომაგს, ისტორიული კულტურის აღმდგენს და ტაძართა აღმშენებელ კაცს?! ანუ, ევროპარლამენტარები ნაცისტი-ექსტრემისტების ნარატივს გვთავაზობენ საკუთარ თეზისებად. სად მივყავართ ევროპას — სრულიად უმორალო ფსევდოსამართლებრივ სივრცეში? სრულიად დაუცველ გარემოში?

●

ევროპარლამენტარების დადგენილებით მკვეთრად გამოჩნდა, როგორ ებრძვიან ისინი აქ, ჩვენს ქვეყანაში პიროვნებათა ღირსებას და ჩვენს კონსტიტუციას, როგორ გავყავართ სამართლებრივი სივრციდან და როგორ თავხედურად გვაძალებენ ჯალათი ტერორისტების გათავისუფლებას პასუხისმგებლობისგან, ღიად გვიქადაგებენ ხელისუფლების ჩამოგდებას.

ჩვენ თუ ამას მოვითმენთ, მართლაც „ფურთხის ღირსი“ ვიქნებით.

როცა ევროპამ ნაციონალი ექსტრემისტების ნარატივი „თეზისების“ სახით შემოგვთავაზა, ეს იმის მაუწყებელია, რომ მიმდინარეობს მსოფლიოს ზნეობრივი და სამართლებრივი ნგრევის პროცესი.

ეტყობა, სახედაკარგულმა ევროპამ არ იცის, რა აკეთოს.

სად მივილტვით ჩვენ და რას გვაძლევს კანდიდატის სტატუსი, ანუ რის სანაცვლოდ უნდა მოგვეცეს იგი? — სამართლის, სინდისის, ეროვნული მენტალობის თუ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ხარჯზე?..



XXI საუკუნის ფატალური დრო ერთდროულად გვიქადის სახელმწიფოებრივი და მორალური სახის წაშლას...

უკრაინა-ზელენსკის ნაცისტური ჯგუფი პირდაპირ მონაწილეობს საქართველოს ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების „პროცედურის“ შექმნაში, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის ჩაშლაში...

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ომი — მისი დაყადაღება, მისი გაყვანა ევროპული სივრციდან, ერის ნგრევის და ქართული სახელმწიფოსთვის ნიადაგის გამოცლას გულისხმობს.

მან საკუთარი სამშობლოსთვის გააკეთა თითქმის შეუძლებელი — საკუთარი სიცოცხლის, საკუთარი ოჯახის და მატერიალური სივრცის — ხიფათის ხარჯზე.

სრულიად გაჩანაგებულ, ტერიტორიებდაკარგულ, დატერორებულ, სულიერი და კულტურული ნანგრევებიდან 8 წელიწადში ააწყო ქვეყანა და მისცა მშვიდობა.

ახლა ივანიშვილის ნაქველმოქმედარი, ნაქმნარი და ნაღვაწი ერთი წამით ვირტუალურად რომ მოვშალოთ და წავართვათ ამ ქვეყანას, აღმოვჩნდებით ცაში ჩამოკიდებული, გამომშრალი თევზებივით, სული რომ არ უდგას...

აქ ყოველი ტაძარი, ყოველი მუზეუმი, ყოველი ინსტიტუტი, ბაღები და შენობა-ნაგებობანი მისი მადლიანი ნიჭით, ხელით, მისი მამულიშვილური სულით არის დატვირთული და აღბეჭდილი.

არასოდეს, არც რომელიმე დროში და ქვეყანაში, არც რომელიმე მოღვაწეს და ქველმოქმედს, გინდა ბიზნესმენს და ოლიგარქს, არ უკეთებია ამდენი საერო და სახელწმიფო საქმენი, ყოველგვარი ანგარების გარეშე ჩუმად და უსიტყვოდ.

კაცმა რ იცოდა, ვინ აშენებდა XXI საუკუნის „სვეტიცხოველს“ — სამების დიდებულ ტაძარს.

ეს გვიან გამოჩნდა, რომ ასე იყო და არის მისი ყოველი ნაღვაწი.

საქართველოსთვის ახალი ომის არიდება ყველაზე დიდი ნაღვაწია მისი. ამ უნიჭიერესი პოლიტიკური მოღვაწის სიბრძნეებმა და ირაკლი ღარიბაშვილის ქველობამ გადაარჩინა ქართველი ერი და სახელწმიფო კატასტროფისაგან.

აი, ამას ვერ გვპატიობენ.

აი, ამიტომ გვიწესებენ სანქციებს.

დაშლილი, დანგრეული, ქართა სათარეშო საქართველო ურჩევნია ყველას — ეს კარგად გამოჩნდა საიდუმლო მაისის „იდებში“.

ამიტომ ყველა ჩვენთანგანი, ყველა ქართველი მოქალაქე მამულიშვილი, მით უფრო მწერალი და მეცნიერი, ვალდებულია, „მეხამრიდის“ ფუნქცია შეასრულოს, თორემ ჩვენი გადარჩენა XXI საუკუნეში არ იქნება ადვილი.

●

ჩვენ გამოვიარეთ სემიტური, ინდოევროპული, რომაული, სპარსულ-ოსმალური, მონღოლური, რუსული „ბომონების“ ეპოქა და ეპიდემიები.

მონებად არ ვქცეულვართ.

ახლა სულ სხვა „ბომონი“ და სფინქსი გამოგვიჩნდა ფსევდოდემოკრატიისა და ლიბერალიზმის „ნომრით“.

პათეტიურად ვიტყვი: არავითარი სხვა მოვალეობა და მისია არ გაგვაჩნია — ყოველ ჩვენთაგანს, უბრალო პატრიოტ მოქალაქეს, გარდა სამშობლოს დაცვის და ერის მენტალობის ძლივს შეკოწიწებული სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნების...

●

ევროპას ჩვენთვის არაერთხელ უთქვამს უარი.

მან უარი უთხრა სულხან-საბას.

უარი უთხრა ერეკლე II-ეს.

უარი უთხრა ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

და შესაძლოა, ეს უარი კარგიც იყოს და მეტი თავისუფლება მოგვანიჭოს.

# პოლიტიკური მაფია – „ნაცმოძრაობა“, ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება!

← 6 გვ.

ომში რუსული შეიარაღებული ძალების გამოფიტვა, ეკონომიკის ჩამოშლა, სოციალური ფონის გაუარესება, შიდა აჯანყებებისა და უკმაყოფილებების ფონზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე სახელისუფლებო ვერტიკალის ჩამოშლა მომხდარიყო, რასაც ავტომატურად, რუსეთის ფედერაციის ჩამოშლა და ევრაზიის კონტინენტზე, გეო-პოლიტიკური ახალი კატასტროფა უნდა მოჰყოლოდა. აი, ეს იყო დასავლეთის ჩანაფიქრი, რომელიც დიდი ცეცხლოვანი რკალის გაჩენას გულისხმობდა, მაგრამ რეალურად, გეგმა ჩაიფუშა და დარჩა მხოლოდ მილევად რეჟიმში არსებული უკრაინული კრიზისი, რომელმაც ახლა, უკვე, მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოებაზე იქონია უზარმაზარი გავლენა და მთელ აფრიკის კონტინენტს შიმშილი დაემუქრა. მთელ რიგ ქვეყნებში ადგილი აქვს სერიოზულ ჰუმანიტარულ კატასტროფას. იმ ფონზე, როცა სტაბილურობა შევინარჩუნეთ, არ მივუერთდით მოთხოვნილ ორმხრივ სანქციებს, არ გავხსენით რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მეორე ფრონტი, საქართველო ამ ყველაფრისთვის დასაჯეს.

**— რა ფორმით გამოიხატა ჩვენი დასჯა?**

— „მთავარი დამნაშავე“, რატომღაც, ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა, რომელსაც ევროპარლამენტისგან დასანქცირებამდე, ერთი კვირით ადრე, „კრედი სუისმა“ — უმაღლესი რეიტინგის მქონე შვეიცარულმა ბანკმა მოულოდნელად 400 მილიონი დოლარის ფინანსური აქტივები დაუყადაღა ისე, რომ არავითარი სამართლებრივი გარანტია დეპოზიტარ ბიძინა ივანიშვილისთვის და მისი ადვოკატებისთვის, არც კი მიუცია. ბუნებრივია, საერთაშორისო საბანკო სამართალი ბენეფიციარის კონფიდენციალურობას, მის ინტერესებს უმაღლესი სტანდარტით იცავს. ამ მხრივ, განსაკუთრებული სანდოობის კუთხით, სწორედ, შვეიცარიის ბანკები გამოირჩევა. იმიტომაც არის შვეიცარია მთელი მსოფლიოს მასშტაბით მთავარი ფინანსური ჰაბი. მაშინ, ისმის კითხვა: რა მოხდა 400 მილიონთან დაკავშირებით, რომელიც ბიძინა ივანიშვილს, ფაქტობრივად, გაუყინეს?! ამას ბევრი სპეკულაცია მოჰყვა, განსაკუთრებით ე.წ. ოპოზიციური ფლანგიდან, რომელთაც დასავლეთის ადვოკატობა იკისრეს და ამბობდნენ: დაუშვებელია დასავლეთის პოლიტიკური სპექტრი შვეიცარიულ ბანკზე ზეწოლაში დავადანაშაულოთო. ეს ყველაფერი მიჩუმათდებოდა რომ არა ევროპარლამენტის სანქცია. დიახ, ამ რეზოლუციამ გამოააშკარავა, რომ „კრედი სუის“ უკან დგას სწორედ კოლექტიური დასავლეთი, რომელმაც შვეიცარული ბანკი პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტად გამოიყენა და ბიძინა ივანიშვილი ამ უთანასწორო ბრძოლაში პოლიტიკურ დევნილად აქცია. დიახ, ერთ მხარეს დგას ასეულობით ტრილიონი ბიუჯეტის მქონე გლობალიზმის, ლიბერალიზმისა და გენდერიზმის აპოლოგეტი



კრეფსითი დასავლეთი, მეორე მხარეს კი, ქართული სუვერენული დემოკრატიის გადარჩენის ინსტიქტით შეპყრობილი ქართველი ერი. აი, ამ ბრძოლაში ყველას და ყველაფრის ძალიან სერიოზული ლუსტრაცია მოხდა.

**— ბოლო დროს, ზურაბიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე რას იტყვით?**

— სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი საქართველოს მთავრობასთან უნისონში არ მოქმედებს. ჩავიხედოთ, რა წერია კონსტიტუციაში: საქართველოს პრეზიდენტის საგარეო აქტივობა პრემიერ-მინისტრთან უნდა იყოს შეთანხმებული. ამ დროს, წარამარა ვაწყდებით ზურაბიშვილის განცხადებას: მთავრობამ უფლება არ მომცა ჩავსულიყავი პოლონეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, იძულებული ვარ დავტოვო ბრიუსელი და საქართველოში დავბრუნდე და ა.შ. ეს დამატებითი იმპულსია იმ ე.წ. ოპოზიციისთვის, რომლის უკან დგას 15 გეი-პოლიტიკური პარტია და ჯორჯ სოროსის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი, რომლებიც იმდენად გაკოტრებულნი არიან რეანიმაციაც აღარ შველით, რათა საკუთარი ლიდერები მიტინგებისა თუ მანიფესტაციების გზით, საჯაროდ იგლოვონ. ლიდერებში, ვგულისხმობ, მიხეილ სააკაშვილსა და ნიკა გვარამიას. მაშინ, როცა მათი სრული პოლიტიკური ანიჰილაცია ხდება, ამ დროს, მაშველ რგოლად საქართველოს პრეზიდენტი ევლინებათ. ეს წარმოუდგენელია. იმედი მაქვს, ზურაბიშვილი გონს მოეგება და იმ რეალ-პოლიტიკიდან გამომდინარე იმოქმედებს, რომლის გაუთვალისწინებლადაც საქართველო, უბრალოდ, დაიღუპება. როცა პრეზიდენტი აცხადებს: ვბრუნდები საქართველოში, რათა დემოკრატია, საქართველოს ხვალინდელი დღე და მისი მოამვალი გადავარჩინოო, იგი, პირველ რიგში, იმ რეალპოლიტიკით უნდა ხელმძღვანელობდეს, რაშიც ვიმყოფებით. ვგულისხმობ, შემდეგს: ჩვენ, 3+3



რეგიონალურ ფორმატში მონაწილეობას გვთხოვენ. დავუკვირდეთ ერთ საგულისხმო ფაქტორს: ექვსი მონაწილე ქვეყნიდან ერთადერთი მხოლოდ საწყალი საქართველოა, რომელსაც საკუთარი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ აიძულებენ, რომ ხელი მოაწეროს იმგვარ კითხვარს და ისეთი პასუხები გასცეს, რომლის ვალდებულების აღება და პირობის მიცემა, უბრალოდ, ჩვენი ხვალინდელი დღის მოსპობას ნიშნავს. ეს არის, პირველ რიგში, ერთსქესიანთა პარტნიორული ურთიერთობები და გეი-ქორწინებები, რომელთან დაკავშირებითაც კითხვარის რამდენიმე მუხლში, პირდაპირ, გვეკითხებიან: მზად არის თუ არა საქართველო, ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, ეროვნულ დონეზე, ევროკავშირთან კანონმდებლობის ჰარმონიზირება განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ ასეთ რამეს არ ეკითხებიან არც რუსეთს, არც თურქეთს, არც სომხეთს, არც აზერბაიჯანს და არც ირანს. მსგავსი კითხვა მხოლოდ ჩვენთან მიმართებით ისმის. თურქეთის რესპუბლიკა, უკვე, 23 წელია ევროკავშირის წევრობის კანდიდატია, მაგრამ იგი არავის დაუვალდებულებია მსგავსი ტიპის კითხვარისთვის ხელი მოეწერა. ჩვენ ხომ კარგად ვიცით: ყოვლად წარმოუდგენელია თურქეთის პრეზიდენტმა საკნონმდებლო დონეზე ხელი მოაწეროს თურქეთის გეი დღის წესრიგს და გეი-პროპაგანდას. მიუხედავად ამისა, იგი ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა. აზერბაიჯანი ღიად, დემარშს აწყობს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო პაკეტებთან დაკავშირებით, რაც მისი მოსახლეობის ზნეობრივ კატეგორიას ეწინააღმდეგება. ირანში რომელიც თეოკრატიული სახელმწიფოა, ამ ყველაფერზე ლაპარაკიც ზედმეტია. სომხეთს, რომელიც ახერხებს, დუალისტური პრინციპით, იყოს რუსეთის მოკავშირეც და ამავდროულად, ევროპასა და აშშ-ში ძალიან სერიოზული ლობი ჰყავდეს, გეი-პროპაგანდის შემცველი საკანონმდებლო ინიციატივების გატარებას არავინ ავალდებულებს. რჩება საწყალი საქართველო. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ სწირავენ ამ პატარა ქვეყანას, რომელსაც სიცოცხლის ფასადაც რომ დასჭირდეს, ამ ყველაფერზე ხელს არ მოაწერს? — იმიტომ ხომ არა, რომ ამ შემთხვევაში, პოლიტიკა მისტიკაში იკვეთება. იმიტომაც, რომ საქართველო უფლის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართის ქვეყანაა. იგი, თავისი მადლით, რეალურად, მეორე იერუსალიმია. ქვეყანაა, რომელმაც შეძლო და ჭეშმარიტი სარწმუნოება ორი ათასი წელი, სისხლის ფასად, შეინარჩუნა. ერთი რამ ცხადია: იდეოლოგიებს შორის ასეთი გააფთრებული ბრძოლა, რაც ახლა ჩვენს ქვეყანაში დუღილის პროცესშია, არცერთ სახელმწიფოში არ ყოფილა. ეს მთელი ქვეყნისთვის ეგზისტენციალური გამოწვევაა. მესმის, რომ საზოგადოება გაყოფილია, ერთი მუჭა უხვად დაფინანსებული ლიბერასტი პოლიტიკური თუ არასამთავრობო ორაგანიზაციების უკან, ოჯახები დგანან. ამ არასამთავრობოებს, ყოველწლიურად, 100-მილიონიანი გრანტი ერიცხებათ. ზოგი მათგანის დაფინანსება ბევრად მეტია, ვიდრე საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტის ერთად აღებული. ბუნებრივია, მათ უკან დაქირავებული მუშაკები დგანან, რომლებიც იმისთვის იბრძვიან, რომ ე.წ. ლიბერალური ღირებულებები დაიცვან. სინამდვილეში, საკუთარ ცხოველურ ინ-





10 გვ. →



# „ყრუ კედელი დუმდა, ჩარაზული კარით...“

## ღია წერილი ევროპარლამენტს

ბატონებო, თავისი დღე და მოსწრება ქართველი ევროპისკენ ისწრაფვოდა. თუმცა ხელცარიელი არა, უამრავი სიკეთე და გონებრივი შესაძლებლობანი, უნიკალურ კულტურასთან თუ პოლიფონიურ სიმაღლესთან ერთად შეუძენია დიდ ევროპული ოჯახისთვის. საქართველო დღენიადაგ ევროპელობდა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოდა ევროპული ოჯახის საერთო მტრებს. თუნდაც იმის გახსენება რად ღირს, დიდი თურქობის ჟამს, როცა გაძლიერებულმა ოსმალეთმა სპარსეთი და ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანა დაიპყრო და უძლეველ იმპერიად ჩამოყალიბდა, მიუხედავად ამისა, ვერანაირად გაექცა სპარსული ენისა და კულტურის გავლენას. თურქული ენა ვერ გახადა ჰეგემონი რეგიონში, სახელმწიფო ენად თავისთავად სპარსული გახდა. იგივე მოხდა მეზობელ აზერბაიჯ-



ანსა და სომხეთში. ყველგან, სპარსული და ოსმალური კულტურა ზეობდა, მხოლოდ საქართველო, როგორც აუღებელი ბასტიონი, იდგა იმ წკვარამეთში და „ვეფხისტყაოსნის“ ძალისხმევით ებრძოდა ურჯულოებს და ინარჩუნებდა საკუთარ იდენტობასა და სარწმუნოებას. ასე ბრძოლებითა და შრომით, ხმლითა და გუთნით, წიგნითა და სიმღერით მიიწევდა წინ. მას არც ჩრდილოეთისკენ უძებნია მეგობარი და არც აზიისკენ. ევროპა და მხოლოდ ევროპა... ჯვაროსნულ ომშიც დაუღვრია სისხლი და იქაც გამოირჩეოდა ვაჟკაცობითა და ერთგულებით. განვლო დრომ, არც სულხან- საბას მეროჭიკე ბერივით სიარულს ევროპელთა სახელისუფლებო რეზიდენციებსა თუ სასახლეებში, მოჰყოლია საიმედო რამ. არც შემდგომ ურთიერთობებს გაუძლიერებია საბრალო ივერია. ასევე, მიუხედავად გეორგიევსკის ტრაქტატის მძვინვარებისა, არც ახლა მინდობია თავისი ნებით ჩრდილოელ „მეგობარს“, სამასწლიანი ტანჯვა და ჯოჯოხეთი გამოიარა. არც ენა დაუთმია და არც ტრადიცია, არც სახე დაუკარგავს და არც კულტურა! ევრო- ანტლატიკურ სივრცეში გაწევრიანება გახლდათ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ქართველის სადღემჩიო მიზანიცა და ოცნებაც. ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც უნდა გაესვას ხაზი, საუკუნეების მანძილზე სთავაზობდნენ მეზობლები ქართველს: ზურნასა და დაირას, ჭიანურსა თუ ბალალაიკას და ა. შ. მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ იგუა ქართულმა სულმა . გიტარა კი, რომელიც ევროპიდან შემოვიდა, მაშინათვე განუყოფელი ნაწილი გახდა ქართული კულტურისა. გიტარის წინაპარი ხომ ჩვენი ოთხსიმიანი ჩონგურია (სხვა მსგავსი, ოთხსიმიანი საკრავი არცერთ ერს გააჩნია, მთელ პლანეტაზე). როგორც ჩვენი საყვარელი პოეტი მუხრან მაჭავარიანი იტყოდა: „ყრუ კედელი დუმდა, ჩარაზული კარით...“ - ჩვენ მაინც ჯიქურ მივიწევდით მეგობრად დაგულოვნებული სამყაროსკენ, მაგრამ... ახლა რა დავაშავეთ, ევროპელო მეგობრებო, სად შევცდით? ნუთუ მართლა გჯერათ იმ სიცრუისა , რასაც ნაც-ბანდის მსტოვრები ქადაგებენ, ნუთუ ფეიკ- ინფორმატორებმა გადაძალეს ის დამოკიდებულება, რომელიც, თუ გულწრფელი იყო, წლების მანძილზე გაგაჩნდათ ჩვენს მიმართ? არ შეიძლება ერთი მუჭა „მიშისტების“ სურვილმა გადაწონოს, ნება სრულიად საქართველოსი. ეს ცუდის მომასწავებელია და ამას ერი არ დაუშვებს!.. 2012 წელს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად არჩევნებით, მშვიდობიანად დაამარცხა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი და ხელისუფლებაში მოიყვანა ის ძალა, რომელიც მისი ინტერესების გამტარებალია. თავისუფლება გახდა ნიშანსვეტი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისა, რომელიც დღემდე, მართავს ქვეყანას ყოველგვარი ტანჯვა-წამების, შიშის, ძალადობის, ცეცხლსასროლი იარაღისა თუ ნარკოტიკების „ჩადება“- შანტაჟის გარეშე... ბიზნესის რეკეტისა და უკანონო დაჭერების გარეშე. გაუპატიურებისა და ყოველგვარი უბედურების გარეშე. როგორც ფსიქოლოგები იტყვიან, სივრცე შეიძლება იყოს დამაფრთხობელი ან, პირიქით, როგორც სასიამოვნო ფიზიკური რეალობა. სწორედ ასეთი გარდამავალი ეტაპის მომსწრენი გავხდით, შიშითა და დამცირებებით გაჯერებული მოცემულობა, შეიცვალა ახალი, დემოკრატიიული პრინციპებით გაჯერებული მმართველობით! ყოველივე ამის სათავეში კი - იდგა ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ჩვენისთანა უნათესაო და აბსოლუტურად უპატრონო ერს ამ დონის მეცენატი არასდროს ჰყოლია. შესაძლებლობისა და სურვილების თანხვედრით, ამ საოცარმა ადამიანმა 3 მილიარდ დოლარზე მეტი მოახმარა თავის ერსა და ქვეყანას. დიდია მისი დამსახურება ქართული კულტურისა და კულტურის მოღვაწეთა წინაშე და არა მხოლოთ. მიუხედავად უდიდესი სასიკეთო საქმეებისა მას ლანძღავენ და კრიჭაში უდგანან უმეტესად ქვეყნის მტრები, ისეთი ადამიანები, რომლებსაც ერთი თეთრიც არასდროს გაუმეტებიათ არც ქვეყნისა და არც გაჭირვებული ადამიანებისთვის. საქართველოს ჰყავს ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ერმა, ქვეყანამ გაჭირვების ჟამს იმის რწმენით, რომ ის ზურგს არასდროს შეაქცევს და მაქსიმუმს გააკეთებს. ასე რომ, ძვირფასო მეგობრებო, თქვენ სანქციებს უწესებთ არა ერთ კაცს - ბიძინა ივანიშვილს, არამედ იმ სიკეთეებს, რომელიც ამ ადამინს უანგაროდ უკეთებია წლების მანძილზე (რომლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა), თავისი ქვეყნისთვის. თქვენ და ამერიკამ უახლოს წარსულში ზურგი შეაქციეთ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, ყურად არ იღეთ მისი არც რჩევა, არც ხვეწნა-მუდარა, ამოდგომოდით მხარში ახალგაზრდა დამოუკიდებელ ქვეყანას და ნაცვლად ამისა, შეატოვეთ წითელ გველეშაპს და კრემლმა თავის დამქაშებთან ერთად სისხლში ამოაშთო ხალხის არჩევანი. ყოველგვარი სამართლიანობის გარეშე აღიარეთ პუტჩისტური ხელისუფლება და მწედ დაუდექით ხალხის ნების წინააღმდეგ გალაშქრულ ხუნტისტებს. წლების შემდგომ არაერთმა ევროპელმა პოლიტიკოსმა და მასთან თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა სინანული გამოთქვეს და აღიარეს, რომ შეცდნენ საქართველოსთან მიმართებაში, მაგრამ რა დროსი იყო! ქართველი ერი, ხალხი არასდროს ცდება, ის საჭირო დროს ყოველთვის იღებს იმ არჩევანს, რომელიც მისი ქვეყნის ნათელი და დემოკრატიული მომავლისთვისაა აუცილებელი. ქართველი ხალხის არჩევანი გახლავთ ევროპული კურსი, რომელიც ქვეყნის მთავარ კანონში- კონსტიტუციაშიც აისახა. ამიტომაც, თქვენ არა რომელიმე ჯგუფისა თუ პარტიის სურვილსა და განწყობას, არამედ მთლიანად ერს უნდა მოუსმინოთ, რომელმაც უკვე რამდენიმეჯერ მიიღო მისთვის ასე საჭირო და მისაღები გადაწყვეტილება. მსურს ისიც გაუწყოთ, რომ მოსახლეობა თუკი რამეზე გამოხატავს უკმაყოფილებას ხელისუფლების მიმართ, უპირველესად იმაზე, რომ საკადრისად არ დაისაჯნენ წინა ხელისუფლების, სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენლები და მიეცათ უფლება სიძულვილის ენით მოიხსენიონ და ებრძოლონ ყველას, ვინც მათ არ უჭერს მხარს და განსხვავებული აზრი გააჩნიათ. ასევე სიძულვილს ქადაგებენ ე. წ. ოპოზიციური ტელეარხები, აზომბირებენ და აბულინგებენ მოსახლეობას! პატივცემულო მეგობრებო, ევროპა, ჩვენი წარმოდგენით, ჩვენი დიდი ოჯახია, რომელსაც ისტორიული კატაკლიზმების გამო ჩამოვცილდით და დროა დავუბრუნდეთ მას, როგორც თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო. ჩვენ მზად ვართ! თქვენ? მიუხედავად ყველაფრისა, ველოდებით თქვენს გონიერ გადაწყვეტილებას.

პატივისცემით
**ლაშა გვასალია**
მწერალი

# პოლიტიკური მაფია – „ნაცმოძრაობა“, ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება!

8 გვ.

სტიქტებს იცავენ. აი, რა ხდება, დღეს, ჩვენს თავს. ჩემს გარშემო არიან გულანთებული ადამიანები, რომელთაც ეს ტრაგიზმი სწორად ესმით. ვერ წარმოვიდგენდი თუ ამ ვითარებაში აღმოვჩნდებოდით. ბიძინა ივანიშვილს სოლიდარობას ვუცხადებ და მიმაჩნია, რომ იგი პოლიტიკური დევნილია. მის წინააღმდეგ მასშტაბური პოლიტიკური დევნა ხორციელდება. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა მან, სახალხო მხარდაჭერა იგრძნოს. 2011 წელს ივანიშვილმა პირველი წერილი მისწერა საზოგადოებას და გააჩინა სიხარულის არნახული მუხტი, რომ ლიბერალური პარადიგმის შეცვლის ხსნა გამოჩნდა. დღეს, გაცილებით უფრო მძაფრია იმის შეგრძნება, რომ საჭიროა საზოგადოებრივი კონსოლიდაცია იმ ბოროტების წინააღმდეგ, რომელსაც წნეხის, სანქციების, ზეწოლის განსახორციელებლად დიდი ძალა და რესურსები გააჩნია. ამიტომ, როგორც აქამდე ომობდნენ ჩვენი წინაპრები, ჩავთვალოთ, რომ დღესაც, ზუსტად, იგივე ომში ვართ. საჭიროა, ერთობა და მედგარი წინააღმდეგობის გაწევა ყველა იმ სანქციაზე თუ პოლიტიკურ ნაბიჯებზე, რასაც კოლექტიური დასავლეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ კიდევ მრავალგზის ექნება ადგილი.

**— თქვენ, აღნიშნეთ: ივანიშვილი პოლიტიკური დევნილიაო. ამ დროს, ევროპარლამენტის რეზოლუციაში კეზერაშვილია დევნილად მოხსენიებული.**

— დიახ, ევროკავშირმა დავით კეზერაშვილი, კოხტა კოდუა და მეგის ქარდავა პოლიტიკურ დევნილებად გამოგვიცხადა, რითაც ქართულ საზოგადოებას სილა გააწნა. მან, ნიღაბი, საბოლოოდ, ჩამოიგლიჯა. ამის მერე, ნუთუ, კიდევ თუ ვერ ვხედავთ კოლექტიური დასავლეთის ბოროტ სახეს, რომელიც თავის პრიორიტეტებს, ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ, ღიად გვიცხადებს: თუ ვინ არის პოლიტიკური დევნილი და პოლიტ .პატიმარი. კეზერაშვილმა რომელიც წაგებული ომის მინისტრი იყო, აქედან, ოფშორებში მილიარდები გაზიდა, როგორც „ნაცმოძრაობის“ საერთო ყულაბა და შემდგომ, იქედან, ფულის რეცხვა მოახდინა. დიახ, გარეცხილი ფულით ისევ „ნაცმოძრაობის“ რეინკარნაცია, დაფინანსება დაიწყო. ასეთი ადამიანი დღემდე დაუსჯელია. სააკაშვილი და გვარამია ციხეშია, „ნაცმოძრაობას“ კი რესურსი აღარ დარჩა იმისა, რომ მრავალათასიანი აქციები ჩაატაროს, ამიტომ, დასავლეთი აგონიაშია და უკანასკნელი ბერკეტების გამოყენებაზე გადავიდა. ეს გახლავთ, სწორედ, ღია ომის გამოცხადება. პირველი მსხვერპლი, როგორც მოგახსენეთ, ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა. 400 მილიონის დაყადაღება, სწორედ, მისი დაშანტაჟების მცდელობა იყო. შვეიცარიული ბანკი რომელიც მაღალი კონფიდენციალურობით გამოირჩევა, კოლექტიური დასავლეთის ხელში, პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტი აღმოჩნდა.



**— ევროპარლამენტის რეზოლუციაში ყურადღება მედიის შეზღუდვაზეც გაამახვილეს. პირიქით, მედიის თავაშვებულობა ხომ არ უნდა აღენიშნათ?**

— ყველანი ვხვდებით, რომელ მედია-საშუალებებს აცხადებს ევროპარლამენტი დაჩაგრულად. კეზერაშვილს სურს „ნაცმოძრაობის“ რეინკარნაცია მოახდინოს. ბუნებრივია, როდესაც ოფშორებში გატანილი ფულის ბრუნვაზეა საუბარი, დასავლეთი თვალს ხუჭავს იმ კრიმინალური ფულის გათეთრებაზე, რაც წაგებული ომის მინისტრმა საქართველოდან გაზიდა. ცხადია, რა დანიშნულებაც აქვს ამ ე.წ. მედიას. ეს გახლავთ საბრძოლო ეტლი, რომელშიც ოთხი ცხენია შებმული. ეს ცხენებია: პოლიტიკური ორგანიზაციები, არასამთავრობოები, ჩანერგილი სასულიერო პირები და მედია ტერატიუმი — „მთავარი“, „ფორმულა“, „ტვ პირველი“. ეს მედია-საშუალებები არიან პროპაგანდის მთავარი გამწევი იარაღი. უფრო ზუსტად, ეს გახლავთ არა მედია, არამედ ოპერატიულ-ტექნიკური დანამატი. პლურალიზმი და მედია-თავისუფლება არის შირმა იმისთვის, რომ ამ ოპერატიულ-ტექნიკური დანამატების რუპორირების გზით, ეს ძალადობა გაამართლონ. ყველაფერი აშკარაა.

**— ბატონო დიმა, მუდმივად გვესმის: ნაცებმა მოატყუეს ევროპაო. სინამდვილეში, ეს საბაბი ხომ არ არის, რათა ევროპულ ოჯახში მიღება არ გვაღირსონ. ნაცებს იმისთვის ხომ არ აფინანსებენ, რომ მათ აქ ობსტრუქციები მოაწყონ, შედეგად, ხელისუფლება აიძულონ გარკვეული ზომები მიიღოს და მერე, ევროპამ ეს ყოველივე „არადემოკრატიულად“ მონათლოს, რათა მუდმივად, ჩვენი არმიღების მიზეზი ჰქონდეთ?**

— ჩემი აზრით, თავიდან „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ ერთ ლიბერალურ პლატფორმაზე არსებული პოლიტიკური ძალები იყვნენ, რაზეც სრულ საკონტროლო პაკეტს დასავლეთი ფლობდა. შემთხვევითი არ იყო, რომ მაშინ პარლამენტში ნეოლიბერალური ინტერნაციონალის წარმომადგენელი პარტიებიც აღმოჩდნენ. კოლექტიური დასავლეთი მშვიდად იყო, როცა ხიდაშელს ან ალასანიას წამყვან თანამდებობებზე ხედავდა. დასავლეთისთვის შემდეგი თამაშის წესები არსებობს: მარიონეტულ სახელმწიფოებში ესა თუ ის ხელისუფლება სათავეში ორ ვადაზე მეტად არ უნდა იყოს. კოლექტიურ დასავლეთს სურდა ხელისუფლების ჩანაცვლება „ნაცმოძრაობით“ მომხდარიყო. დიახ, დასავლეთში ყველა თვლიდა: მომდევნო ცხრა წელი საკმარისი დრო იყო, რათა საზოგადოებას ნაცების ავაზაკობა დავიწყებოდა. მათ, ეგონათ, კოაბიტაციიდან გამომდინარე, ამ პროცესის მიმართ შეგუება და სახეცვლილი ფორმით რეჟიმის აღდგენა მოხდებოდა. სწორედ ამიტომ მოხდა „ნაცმოძრაობის“ გამონადენების დაყოფა — ვინც აქამდე, „ნაცმოძრაობაში“ იყვნენ, ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მთავარ სახეებად მოგვევლინენ. მაგალითად, არ მოერიდნენ შემდეგი სახის ფიქციასაც კი — გეი-პროპაგანდის მხარდამჭერმა პარტიამ „სტრატეგია აღმაშენებელი“ დაირქვა და მამათმავლობისა და ლესბოსელობის დამცველად მოგვევლინა. დიახ, ეს კოჰორტა დასავლეთმა შექმნა, რათა ივანიშვილისთვის ეთქვა: ჩვენ, მოვემზადეთ და თქვენ, 2021 წლის ოქტომბრის არჩევნებში ჩვენს მიერ რეკომენდირებული რეჟიმ-ჩეინჯი უნდა მოახდინოთო. ანუ, დასავლეთმა ხელისუფლებას მოსთხოვა: ესტაფეტა სააკაშვილს დაუბრუნეთ იმიტომ, რომ ჩვენ, ეს გუნდი გავახალისეთ, განვაახლეთ, თვისობრივად შევცვალეთ, საზოგადოებაც ამას შეჭამს, თავს მოიტყუებს, რომ ეს „ნაცმოძრაობა“ კი არა, არამედ სულ სხვა სახეები, სხვა დემოკრატიული სტანდარტებიაო. აი, რაზე წავიდა ვაჭრობა. მაგრამ ივანიშვილმა და „ქართული ოცნების“ ლიდერ-შიფმა, საბოლოოდ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ნაცმოძრაობას“ მესამე სახელისუფლებო ვადას არ დაუთმობს და გარკვეული ლიბერალური პარადიგმიდან ნელ-ნელა გამოსვლას დაიწყებს. ეს, უკვე, დასავლეთისთვის წითელი ხაზები აღმოჩნდა. პროცესში ჩართეს შარლ მიშელი, მანამდე, რევოლუციური მოდელის გასავითარებლად სააკაშვილი ჩამოიყვანეს, დაიწყეს ვაჭრობა სასამართლო ხელისუფლების გადაბარების თაობაზე, სამაგიეროდ, გვთავაზობდნენ: ნაცებს ვეტყვით, პარლამენტში შემოვიდნენო. გარდა ამისა, „ქართულ ოცნებას“ ყველაზე უფრო ერთგული დასაყრდენი პრემიერის-სახით — გახარია, უცებ, გამოეცალა და კოლექტიური დასავლეთის მხარეს აღმოჩნდა. მან, საუკუნის ღალატი ჩაიდინა. გახარიამ მასონური მოძრაობის, ფაშისტური ლიბერალიზმის სასარგებლოდ, ქვეყანას დარტყმა მიაყენა. გამოიკვეთა საინტერესო რამ: კოაბიტაცია იმსხვრევა და ახალი პოლიტიკური მოცემულობის მშენებლობა იწყება. არ მინდა ენამ წინ გამისწროს, მაგრამ ფაქტია, კონსერვატიული იდეები ახირება არ არის, არამედ საზოგადოების დაკვეთაა, რომლის სათავეში დედა-ეკლესია დგას. კოლექტიურ დასავლეთს ტრილიონიანი ბიუჯეტები აქვს, რასაც უნდა იმას აკეთებს, მაგრამ საქართველოში მისი პროექტები ვერ ვითარდება. რატომ? — მე, ვერ ვიტყვი რომ ეს ხარისხიანი საზოგადოების დამსახურებაა. თუმცა, ქვეყანაში არსებობს საზოგადოების ბირთვი, რომელიც თავსმოხვეულ იდეოლოგიებს ეფექტურად უწევს წინააღმდეგობას. მგონია, რომ ეს თამაში დასრულებულია, კოაბიტაცია, საბოლოოდ, გაუქმებულია. ძალიან მალე, მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა 3+3 რეგიონალური ფორმატის მაგიდას მიუჯდება, ეს საქართველოს ხვალინდელი დღისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანი იქნება — ამ ფორმატში მონაწილეობით, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესები აღიარებული იქნება რეგიონალური სახელმწიფო ლიდერების მიერ და ქართული ეროვნული ინტერესების ხორცშესასხმელად მუშაობას დავიწყებთ.



თამარ შველიძე
555 23 28 24



# ღირსეული ქალბატონი

ქართველი ქალები მამაკაცებთან ერთად ყოველთვის იყვნენ საქართველოს ისტორიის გზის წარმმართველები და ასეა დღესაც.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და, აქედან გამომდინარე, ქალი ოდითგანვე უდიდეს როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქვეყნის მმართველ პოზიციებზე „ქართული ოცნების“ დროსაც მოვიდნენ ქალბატონები, რომელთა მხრებისთვის ქვეყნის მართვის უმძიმესი ჭაპანი მსუბუქი არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, პრინციპები უმთავრესია — სწორედ ასეთი პრინციპული, შეუპოვარი, ძლიერი ნებისყოფის მქონე ქალბატონები ქმნიან საძირკველსა და გარკვეულ გენდერულ ფონს ევროპის გზისკენ



მომზირალი საქართველოსთვის.

ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე არის ნინო გიორგობიანი.

მას ქართული საზოგადოება წლებია იცნობს, როგორც კარგ ჟურნალისტს.

ნინო გიორგობიანი ქართულ ჟურნალისტიკაში 1996 წლიდან შემოვიდა. მას შემდეგ წლების განმავლობაში ჟურნალისტის პოზიციაზე მოღვაწეობდა სხვადასხვა ტელეკომპანიებში. აქტიური ჟურნალისტიკიდან წასვლის შემდეგ მან პროფესიული საქმიანობა ავიაკომპანია „აირზენას“ დაუკავშირა და იქ საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს ჩაუდგა სათავეში, ამას მოჰყვა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სამმართველოს უფროსის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის პოზიციები.

დღეს ნინო გიორგობიანი მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.

დამეთანხმებით, გარკვეულწილად, ძნელია საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მყოფ ადამიანზე და ქალბატონზე წერო ისე, რომ მიკერძოებულობაში არ ჩაგითვალონ, მაგრამ „თქმა მართლისა სიმართლისაო“, ხომ გაგიგონიათ. სიმართლე უნდა ითქვას: სადაც კი მუშაობდა ნინო გიორგობიანი, ყველგან კეთილგანწყობა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო სუფევდა და, დამეთანხმებით, ეს არ არის ადვილად შესასრულებელი, უამრავი სირთულით და სკრუპულოზურობით გამორჩეულ დაწესებულებებში. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ითხოვს ტიტანურ შრომას, სიზუსტეს, პასუხისმგებლობას და ამ ყველაფერს ღირსეულად რომ გაართვა თავი, ცხადია, არ არის ადვილი საქმე.

მე ბევრ ისეთ ადამიანს ვიცნობ, რომლებიც ნინო გიორგობიანს ძალიან კარგად იცნობენ და მისი ხასიათიდან გამომდინარე, მათთვის თანამდებობის პირი, ქალბატონი ნინო გიორგობიანი არის უბრალოდ, ნინო, რომლის იმედი აქვს ყველას — არა მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებს, არამედ ყველას, ვისაც დახმარება და გვერდით დგომა სჭირდება.

ერთგულება ქვეყნის ინტერესებისადმი, ერთგულება თანამებრძოლების მიმართ და, რაც მთავარია, უანგარო და წრფელი სიყვარული ადამიანებისადმი – ეს არის ნინო გიორგობიანის მთავარი პრინციპები, რომლებისთვისაც მას არასდროს გადაუხვევია.

არ აქვს მნიშვნელობა დღე-ღამის მონაკვეთს, არ აქვს მნიშვნელობა, სად იმყოფება თვითონ, თბილისში თუ საზღვარგარეთ, ნინო ყოველთვის მზადაა დასახმარებლად, ნინო ყოველთვის მოგისმენს, და ყველაფერს გააკეთებს, რომ პრობლემები მოაგვაროს, ამიტომ მას ახლობლები ხუმრობით „დედა ტერეზასაც“ ეძახიან. თუმცა უმადურ ადამიანებს რა დალევს, ხინჯს ყველგან რომ ეძებენ, მაგრამ ამას ნინო ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს, ყურადღებას არ აქცევს და ისევ განაგრძობს კეთილი საქმეების კეთებას.

სხვანაირად ალბათ შეუძლებელი იყო, რადგან ხალხის და ქვეყნის სამსახური ოჯახიდან მოსდგამს.

90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენების პერიოდში გადაღებების დროს ნინო გიორგობიანის ბიძაშვილი, ჟურნალისტი და რეპორტიორი, დათო ბოლქვაძე მოკლეს, რომლის შესახებ მთელმა მსოფლიომ გაიგო მაშინ.

„პატივს მივაგებთ რეპორტიორს, რომელიც მზად არის, იდგეს, როდესაც სხვები გარბიან და სვამდეს კითხვებს, როდესაც სხვებს შიში დუმილს აიძულებს“, – ეს წარწერა ვაშინტგონშია გაკეთებული, სადაც დათო ბოლქვაძის სახელი და გვარი მსოფლიოს იმ ჟურნალისტებს შორის არის ამოტვიფრული, რომლებიც პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაიღუპნენ...

მაგრამ ეს სამწუხარო ამბავი წარსულში დარჩა და რამდენიმე წლის წინ სასიხარულო და უჩვეულო ამბავიც შეიტყო საზოგადოებამ — ნინო გიორგობიანს ფეხბურთელმა ლადო ბურდულმა პირდაპირ ეთერში ცოლობა სთხოვა — ეს იყო ულამაზესი სანახაობა და ისტორია, რომელიც დღემდე გრძელდება.

იმის მიუხედავად რომ ნინო გიორგობიანსა და ლადო ბურდულს წარმატებული კარიერა აქვთ, ვერ შეამჩნევთ რაიმე პრივილეგირებულობას, ან ამპარტავნების მცირე დოზასაც კი.

„ღმერთმა ქნას, 100 წელი ვიყოთ მე და ნინო ჩვენს სამსახურებში, მაგრამ როცა ასე აღარ იქნება, არ მსურს, ჩემკენ ვინმემ თითი გამოიშვიროს, ესენი მაშინ ასე იქცეოდნენო.“ — ამბობს ერთ ინტერვიუში ლადო ბურდული.

მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის იმედი ყოველთვის უნდა ჰქონდეს საზოგადოებას, მით უფრო, თუ თუ ამ დეპარტამენტს ნინო გიორგობიანი ხელმძღვანელობს, რომელიც არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებული გამოწვევების გამკლავებაში ეხმარება პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას, არამედ ქვეყნის გარეთაც პრემიერთან ერთად არის საქართველოს საიმედო წარმომადგენელი, საუკეთესო დედა, მეუღლე, მეგობარი, უბრალოდ კარგი ადამიანი და ღირსეული ქალბატონი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18







# სამარცხვინო სამიტი

„სამარცხვინო სამიტი!“ — ასე შეაფასეს პოლიტოლოგებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოს-ანჯელესში გამართული ე. წ. ორი ამერიკის შეკრება. სამიტი აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ინიციატივით ჩატარდა და მასპინძელიც ის გახლდათ. ხისტი შეფასების საფუძველი ექსპერტებს ნამდვილად ჰქონდათ.




შეკრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამერიკის კონტიტენტის ქვეყნებს. ძირითადად, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკისას, რადგან კანადას ლათინოამერიკელები ამერიკის ქვეყნად არ აღიარებენ. საერთოდაც, ლათინური ამერიკის ქვეყნებს აშშ, ტრადიციულად, თავის „უკანა ეზოდ“ მიიჩნევს. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო.

შეკრებამდე ერთი თვით ადრე ცნობილი გახდა, რომ ჯო ბაიდენმა „ორი ამერიკის“, იგივე „მშვიდობის სამიტზე“ არ მიიწვია კუბა, ვენესუელა და ნიკარაგუა. ამით ბაიდენმა ლათინური ამერიკის ქვეყნები გაანაწყენა. ამიტომ, ჯერ კიდევ მაისში ცალკეული ქვეყნების ლიდერები სამიტს არასრულფასოვნად მიიჩნევდნენ და ხელისუფლების პირველი პირების ნაწილმა აშშ-ში ჩასვლაზე უარი განაცხადა. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა რომელიმე ქვეყნის კონტინენტის შეკრებაზე




არმოწვევა, ანუ დისკრიმინაცია.

კალიფორნიის შტატში ჯო ბაიდენი ოჯახური გარემოცვით, შვილიშვილების თანხლებით ჩავიდა, სადაც ოთხი დღე გაატარეს. საერთო ჯამში, სამიტი აშშ-ის ხაზინას 15 მლნ დოლარი დაუჯდა.

ჯო ბაიდენისთვის „ორი ამერიკის“ სამიტი იოლი არ აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ლოს-ანჯელესში გამგზავრებისას, როდესაც თვითმფრინავის ტრაპზე ადიოდა, ბაიდენი კვლავ წაბორძიკდა, მაგრამ ამჯერად თავის შეკავება მოახერხა... მან ისარგებლა მასპინძლის უფლებით და სამიტის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. პარალელურად, ქუჩაში საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. დარბაზში ბაიდენს რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა აღშფოთებული, დამამცირებელი შეძახილებით. დაცვის თანამშრომლებმა მალე აღადგინეს წესრიგი, დარბაზიდან ძალით გაიყვანეს პროტესტანტები და სამიტი გაგრძელდა. ბაიდენმა თავის გამოსვლაში ყურადღება კონტინენტის უსაფრთხოებაზე გაამახვილა: „...ჩვენ დავამყარებთ და შევინარჩუნებთ მშვიდობას კანადიდან ჩილემდე“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

აშშ-სადმი უკმაყოფილებას ვერ და არ მალავდნენ სამიტის მონაწილეები. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი ბაიდენის მითითებით ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ დაინიშნა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან შემავალი არალეგალი მიგრანტების კურატორად. თუმცა ჰარისმა დავალების შესრულებას განვლილ პერიოდში სამი (!) დღე მოანდომა. მხოლოდ უყურადღებობით არ არიან განაწყენებული ლათინოამერიკელები. მათი განცხადებით, შორეულ უკრაინას აშშ 50 მლრდ დოლარით დაეხმარა, ეს მაშინ, როცა მათ მხოლოდ 500 მლნ დოლარი გამოუყო. ამიტომაც არ ჩავიდნენ სამიტზე ცალკეული ქვეყნების პირველი პირები.

განვლილ „ორი ამერიკის“ სამიტს პოლიტოლოგები რამდენიმე მიზეზით მიიჩნევენ არასრულფასოვნად. იმის გარდა, რომ სამი ქვეყანა საერთოდ არ მიიწვიეს, ვენესუელის წარმომადგენლად თვითმარქვია ხუან გუაიდო აღიარეს. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააღიზიანა სამხრეთ ამერიკელები. ამიტომაც რამდენიმე ქვეყანამ წამოაყენა იდეა ალტერნატიული სამიტის ჩატარებაზე. სკანდალური აღმოჩნდა ბრაზილიის პრეზიდენტის დაეჭვება — მართლა გაიმარჯვა ჯო ბაიდენმა არჩევნებში თუ მაქინაციებს ჰქონდა ადგილი. მასპინძელმა ყურადღება არ გაამახვილა ჟაირ ბოლსანარუს გამონათქვამზე. ამერიკული პრესის ინფორმაციით, ბაიდენი ცდილობდა, დაეყოლიებინა ბოლსანარუ, უარი ეთქვა რუსეთთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე, მაგრამ ვერ შეძლო. როგორ გაგრძელდება აშშ-ბრაზილიის ურთიერთობა, უცნობია.

ლოს-ანჯელესში ჩასვლას არ გეგმავდა არგენტინის პრეზიდენტი ალბერტო ფერნანდესი. კოლეგებმა სთხოვეს, ჩასულიყო, როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნების თანამეგობრობის ხელმძღვანელი და პირადად გადაეცა ბაიდენისთვის მათი პრეტენზიები, რაც მან კარგად შეასრულა. ბაიდენისადმი კრიტიკული გამონათქვამები არ დაიშურა. სამიტს 35-დან მხოლოდ 23 ქვეყნის პირველი პირი ესწრებოდა. თუმცა აშშ-ში განსაკუთრებული სიმწვავით აღიქვეს მექსიკის, უახლოესი მეზობლის და მოკავშირე ქვეყნის პრეზიდენტის არყოფნა. სწორედ მისი გამოსვლა უნდა ყოფილიყო საკვანძო აშშ-მექსიკის საზღვარზე შექმნილ ვითარებაზე. გონდურასისა და გვატემალას პირველი პირების არყოფნა სილის გაწვნად აღიქვეს.



ერთწლიანი შესვენების შემდეგ აშშ-ის კონგრეში განახლდა შარშან კაპიტოლიუმის შტურმთან დაკავშირებული მოსმენები. თუმცა აღნიშნულ საქმეზე 1000-მდე ადამიანს აქვს წაყენებული ბრალი. არიან გასამართლებულებიც. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისთვის მთავარი დამნაშავე დონალდ ტრამპია და მის საწინააღმდეგოდ არის მოსმენები დაწყებული. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები და ექსპერტები ამტკიცებენ, რომ დემოკრატები ცდილობენ, მოსახლეობის ყურადღება ზოგად საკითხებზე გადაიტანონ. გამოცემა „ნიუ-იორკ პოსტის“ ინფორმაციით, ბაიდენის ეკონომიკურ პოლიტიკას მოსახლეობის 30% უჭერს მხარს, რაც რეკორდულად დაბალი მაჩვენებელია. პრეზიდენტის ინიციატივით, გადასახადების ძირითადი ნაწილი მდიდრებს (ვისაც მილიონზე მეტი შემოსავალი აქვს) დააწვება. ექსპერტები შიშობენ, რომ იდეის განხორციელების შემთხვევაში ეკონომიკა ქვეყანაში კიდევ გაუარესდება.



ყოველდღიურად მძიმდება ვითარება უკრაინაში. თავდაცვის სამინისტროში ბრიფინგზე განაცხადეს, რომ ყოველდღიურად 100-200 მებრძოლი ეღუპებათ, დაჭრილთა რაოდენობა 500-ს აჭარბებს. დღემდე დანაკარგებს მალავდნენ და არაფერს ამბობდნენ. „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს, რომ უკრაინელები ამერიკის მხარეს არ აწვდიან ფრონტზე არსებულ რეალურ ვითარებას, ცდილობენ, სახე შეინარჩუნონ, რათა კვლავ გააგრძელონ დახმარების მიღება. ამით აშშ-ის ოფიციალური პირები შეშფოთებული არიან. კიევში უკვე დაიწყეს საუბარი ჯარში გახშირებულ დეზერტირობის ფაქტებზე. უკრაინელები კვლავ ითხოვენ იარაღის მიწოდებას. დაპირების მიუხედავად, ესპანეთმა უარი უთხრა უკრაინას გერმანული ტანკების მიწოდებაზე.

უკრაინას საერთაშორისო არენაზეც შეერყა პოზიციები. გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ დანია, ნიდერლანდები, ნორვეგია უკრაინისთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების წინააღმდეგი არიან. მიზეზად კორუფციას, სიღარიბეს, არაეფექტურ მმართველობას ასახელებენ. იგივე პრეტენზიები წაუყენა პრეზიდენტ ვოლოდიმერ ზელენსკის ევროკავშირის ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა, მაგრამ კანდიდატობაზე უარი არ უთქვამს. სამაგიეროდ, პოლონეთის პრეზიდენტის, ანჯეი დუდას სურვილია, ჩაერთოს უკრაინის სრულ მმართველობაში. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი — უკრაინის საგადასახადო სისტემაში საკვანძო თანამდებობებზე პოლონელები იმუშავებენ. ამასობაში საგანგაშო განცხადება გააკეთა პოლონეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა რადასლავ სიკორსკიმ, რომელიც ახლა ევროპარლამენტის დეპუტატია. მან მოუწოდა დასავლეთის ქვეყნებს, უკრაინას მიაწოდონ ბირთვული იარაღი, რათა ეფექტურად დაიცვან თავი!

გამარჯვება, რომელიც დამარცხების ტოლფასია — ასე შეიძლება შეფასდეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის მიერ უნდობლობის ვოტუმის დაძლევა, რომელიც თანაპარტიელებმა გამოუცხადეს. ჯონსონს მხარი 211-მა თანაპარტიელმა დაუჭირა, წინააღმდეგი იყო 148. თუმცა 211-დან 150 პრემიერის აპარატში მუშაობს. ექსპერტების შეფასებით, ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური ვითარებაა, თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება, ზაფხულში თანაპარტიელები ჯონსონს თანამდებობიდან სამარცხვინოდ გააძევებენ.

თვითაღიარებული დონეცკის რესპუბლიკაში ორ დაქირავებულ „ბოევიკს“ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ჯონსონის ხელისუფლება უმოქმედოდ არის. სავარაუდოდ, თანაპარტიელებს ბევრი პრეტენზია უგროვდებათ ჯონსონზე, რომელიც უკრაინაზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე საკუთარ ხალხზე.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# სახელდახელო ჩანაწერები

## მეთუთუნე ჭუტლექსას ტატამი!

5 ივნისის საღამოს „ლეიბორისტმა“ გიორგი გუგავამ და ჭიჭე ვაშაძის პარტიის დეპუტატმა წევრმა პაატა მანჯგალაძემ პირდაპირ ეთერში იჯაჯგურეს. ერთი შეხედვით, ეს ჯაჯგური ძაან სასაცილო იყო... ოდნავი დაკვირვებით - ტრაგედია!

როდესაც მეთუთუნე უბორნიას აკეთებს და ამ უბორნიას ტელევიზიას უწოდებს, რა თქმა უნდა, იქ მხოლოდ ასეთ მოადამიანო ელემენტებს დაინახავთ.

არ შეიძლება, არა, ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, თაღლითმა მეთუთუნემ მხოლოდ თუთუნი უნდა აკეთოს და პერიოდულად ფული ათეთროსო. მართალია, ჭუტლექსას გაკეთებული არც თუთუნი ვარგა, მაგრამ ჯანდაბას, ეგეთი თვალსაჩინოება მაინც არ არი!

რომ არა ჩვენი ბედუკუღმართობა, რა უნდათ ამ უბედურებს პოლიტიკაში? ათეული წლების განმავლობაში ნაგავს გვაჩეჩებდნენ და ჩვენც ვქექავდით... ჰო, ვქექავდით, ყარდა, რაღაცნაირი სუნი ასდიოდა, მაგრამ ვიტანდით.

ჰმ... ვიტანდით კი არა, ხშირად ტაშსაც ვუკრავდით, პარლამენტში ნაგავის შეტანას ოვაციებით ვხვდებოდით. ეს პროცესი არ დასრულებულა, ჭუტლექსვიზიის ტატამზე მოჭიდავეთაგან ერთი (ვინმე პაატა მანჯგალაძე) ისევ საკანონმდებლო ორგანოში გვიზის.

21-ე საუკუნის 20-ან წლებში ამისნაირ, მაჭუტაძისნაირ, ყაყო მინაშვილისნაირ თუ ბაჩუკი ქარდავასნაირ ე.წ. ოპოზიციონრებს ვერ გასცდები, ნამეტნავად დასაფიქრებელი რამ უნდა გვჭირდეს ალბათ!

მეტიც... იქ, სადაც ჭკუას კაკოიე ბობოხიძეს და ბადრიე შუბლაძეს ეკითხებიან, თლა ვერ უნდა იყოს მდგომარეობა დალაგებულ-აწყობილი!

ცნობისათვის: ისე, კაი რტყმევინება სცოდნია გუგავას ქვემოდან, რას ერჩით?

მაინც ჩახადეს შარვლები ერთმანეთს, ამ შეჩვენებულებმა!

## ესენი მართლა მიეხეტებიან ევროპიაში?!

წინა კვირის რამდენიმე დღეს ნაცებმა 30-აქტივისტიანი აქცია ჩაატარეს იდეით: „ერთად ევროპაში“. როგორც ჩანს, მიხვდნენ, საქართველოს მალე მიიღებენ ევროკავშირში კანდიდატად და ხომ უნდა დაიბრალონ? ხომ უნდა გამოაცხადონ, რომ ეს ყველაფერი ამ ხელისუფლების დამსახურება კი არა, მათი მეცადინეობის შედეგია? თან არ დაგავიწყდეთ... აქ მეორე ვირეშმაკულ სვლასაც აკეთებენ, მსოფლიოს აჩვენებენ, მოსახლეობის რა ცოტა რაოდენობა უჭერს მხარს ევროკავშირში შესვლას. აგერ, ბატონებო, ნახეთ, ამ მოთხოვნით ქუჩაში 30 აქტივისტზე მეტი არ გამოდის, მოთხოვნილება არ არის. ამათ აქციებს ვინ უყურებს, ვის აინტერესებს, მაგრამ ვაი და... ვინმემ ტელევიზორში ნახა, ხომ იფიქრებს, ეს რა ცუდი სიტუაცია ყოფილა საქართველოშიო?

ამნაირად არი თუ იმნაირად, მე ამჯერად სხვა რამესთან მაქვს საქმე - ესენი მართლა მიეხეტებიან ევროპიაში? არც გაატრაკოთ!

როგორ, რანაირად, ესენი ხომ მკვლელები, გამაუპატიურებლები, დამრბევები და მძარცველები არიან, რა ხელი აქვთ ევროპიასთან?!

სასაცილოა!

მოდით, ვიცინოთ, სად გამყალბებელი თარხნიშვილი, სად ევროპიელობაი?

ესე იგი... ამათ ჰგონიათ, საითღაც წავლენ, ივლიან, ივლიან, ივლიან, მიადგებიან ჯადოსნურ კარს, ამ ჯადოსნურ კართან ზურაბ ჭიაბერაშვილი იდგება, ურდულს გადასწევს, გააღებს, შევლენ და უცებ გადაკეტავენ - ჩვენ, რუსეთუმეებს არ შეგვიშვებენ, ევროპიელობას არ გვაღირსებენ.

ამათ ევროპიელობა მხოლოდ ლაქლაქი და ვირეშმაკობა ჰგონიათ.

თუ გინდა, რომ ნაღდი ევროპიელი იყო:

1. საკუთარ ქვეყანას არ უნდა უბოზო!

2. საკუთარ ხალხს არ უნდა უჩათლახო!

3. საკუთარ სახელმწიფოს არ უნდა უმტრო!

4. პირდაპირ ეთერში შარვალი არ უნდა ჩაიხადო!

5. მევენახეს ღვინოში არ უნდა ჩაუფსა!

6. ქუჩაში „ბიჩოკი“ არ უნდა მოისროლო!

7. ბუნებაში სუფრას რომ გაშლი და გაძღები, ნარჩენები იქვე არ უნდა დაყარო!

8. ციხეში ადამიანი არ უნდა გააუპატიურო და აწამო!

9. ორი გვამი არასოდეს მოითხოვო!

10. ქუჩაში ახალგაზრდები არ ჩახოცო!

11. ომიდან წითელი ხიდისკენ არასოდეს გაიქცე!

12. ჯავშანჟილეტი არ უნდა ჩაიცვა, როცა სტუმარი პერანგის ამარა მოგყვება!

13. სტუმარი არ მიატოვო, თუნდაც მოტოციკლეტის ხმა ბომბდამშენის ხმად მოგეყუროს!

14. საკუთარი ჯარისკაცების ცხედრები ქუჩაში არ დატოვო!

15. კერძო საკუთრებას არასოდეს შეეხო!

16. სხვისი ცოლები არასოდეს გააუპატიურო და შემდეგ შენს ხელქვეითებზე არ გაათხოვო!

17. ქალს ძუძუ არ უნდა მოაჭამო!

18. ქალი ლაჯზე არ უნდა აზიო, რათა მერე ასი ათასობით დოლარი არ ახარჯო!

და... რომელი ერთი ჩამოვთვალო? დავიღალე!

არა, ესენი მართლა მიეხეტებიან ევროპიაში?

ჰა, ჰა, ჰა!

ვინა, კაცო, გამყალბებელი თარხნიშვილი და ეგენი?

არც გაატრაკოთ!

## ცნობილი „ფალოსოფოსი“!

უდღეური არსება, ვინმე ზურაბ ჭიაბერაშვილი პროფესიით, შეგნებით, გაგებით, მიდრეკილებით, მისწრაფებით და მოწოდებით „ფალოსოფოსია“.

მან ჯერ კიდევ წლების წინ დაწერა „ფალოსოფიური“ ნაშრომი, სადაც დამაჯერებლად იქნა „გამოკვლევებული“, თუ რატომ უჭირავს ქართვლის დედას ერთ ხელში ფალოსი, მეორეში კი საშო.



ჩვენ რომ ვიძახით, ეგ მახვილი და ღვინის თასიაო, ეგრე არა ყოფილა, თურმე ეგ მხოლოდ სიმბოლური მოვლენაა, გვეჩვენება.

ეს უდღეური არსება „ფალოსოფოსი“ კი ბრძანდება, მაგრამ სულ იმნაირ თანამდებობებზე მუშაობდა, „ფალოსოფიასთან“ საერთო რომ არაფერი ჰქონდა - არ დაიჯერებთ, ერთხელ ორი თვით ჯანდაცვის მინისტრიც კი იყო. აღარაფერს ვამბობ ცესკოს თავმჯდომარეობაზე, თბილისის მერობაზე, შვეიცარიაში ელჩობასა და ევროსაბჭოში წარმომადგენლობაზე.

აი, ხო ამდენი თანამდებობა გამოიცვალა, ხო ამდენი სავარძელი გაცვითა, ხო ამდენი „მაყუთი“ შეიტენა, ხო ამდენი საწვავი ხარჯა, ხო ამდენი იდრიგინა, ხომ ამდენი ილაქლაქა, თავი მაინც ვერაფრით დაგვამახსოვრა... პერიოდულად გამოვარდება ხოლმე და ისეთ სისულელეს დააბრეხვებს, დარწმუნებული ვარ, სახლშიც კი დასცინიან.



ეს უდღეური გუშინ თუ გუშინწინაც ატყდა, ომი მინდაო... ვახო სანაიას ჩამოუჯდა გადაცემაში და... ჩვენში დარჩეს, თუ ომი საჭიროა, მინდაო... აბა, ისე დამოუკიდებლობა, პლურალიზმი, კონსენსუსი და სუვერენიტეტი არ არსებობსო... ბოლო-ბოლო, მა როგო გინდათო?!

უნდა და რა ქნას?

2008-ში აქ არ ეგდო!

ევროპის საბჭოში წარმომადგენლად გახლდათ გამწესებული და ეხლა აინტერესებს, რანაირად ცვიოდა ბომბები ჩვენს მიწაზე.

ამ ტიპს ცხოვრებაში ერთხელ შევხვდი და მაშინვე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ კაი გვარიანად უქიქინებს... საკაშვილივით რაღაცნაირი სიცილი აქვს, ბაყაყისებრი, გეგონება, ამ წუთას ამოხტა ჭაობიდანო.

ტელევიზორში ხშირად გამოჰყავთ, სინდის-ნამუსზე ალაპარაკებენ... არადა, 2013-ში, როცა დროება შეიცვალა, ვანო მერაბიშვილთან ერთად წაიჭირეს, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვაში დაადანაშაულეს და 50 ათასი ლარი ჯარიმაც გადაახდევინეს.

ცოტაა!

რაც ამას ისა აქვს ნათქვლეფი, წესით იქ უნდა იჯდეს, სადაც მისი „გმირი“ ბოსები სხედან!

არა, მაინც რა უნდოდა ამ დაუსრულებელ არსებას ჯანდაცვის მინისტრად?.. ან კიდევ რეიზა ეგდო ხოლმე საკანონმდებლო ორგანოში?

თუმცა!

სადაც კობა ხაბაზი იყო აჭარის ჯანდაცვის მინისტრი, ამის ამბავი რატომღა უნდა გვიკვირდეს?

ფუჰ!!!

ომი მინდაო, ამ ჩემის სამოცდათვრამეტიანმა!

## მამუკა ხაზარაძის შემოქმედებითი ალტყინება

რამდენიმე დღის წინ ბანკირმა მამუკა ხაზარაძემ ისევ აუშვა აფრები - თავის ბენდთან ერთად ჩავიდა მეტროს ერთ-ერთ სადგურში და... ამოიფრქვა იმ მეტროდან უხეში ჰანგები. ალბათ გახსოვთ, ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას მეტრო „მარჯანიშვილის“ მიმდებარედ ჩაატარა კონცერტი.

აი, პოლ გოგენმაც დაახლოებით ამ ასაკში მოჰკიდა ხელი დიდ ხელოვნებას. თავიდან ისიც ამასავით საბანკო-საფინანსო სფეროში მოღვაწეობდა, მაგრამ იგრძნო რა შემოქმედებითი ალტყინება, ყველაფერი მიატოვა.

მსოფლიო ისტორიამ არაერთი მსგავსი მაგალითი იცის, ხელოვნება სად გადაგისვრის, სად ალგტყორცნის და რომელ მეტროში ჩაგიყვანს, ვერ გაიგებ.

დიახ, იგივე პოლ გოგენი ამბობდა, იფანტაზიორეთ და იფიქრეთ უფრო მეტი შემოქმედებით პროცესზე, ვიდრე შედეგზეო. სწორად იქცევა აალებად მდგომარეობაში მყოფი მამუკა ხაზარაძე, როცა არ ფიქრობს შედეგზე... როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, სადაც წვრილია, იქ უნდა გაწყდეს!

თქვენი არ ვიცი და... მე ხაზარაძის ცხოვრება ოგიუსტ რენუარის ცხოვრებასაც მაგონებს, რომელმაც მოწიფულობის ასაკში აღმოაჩინა, რომ ფერების მეფე შავია. მეტიც, როდესაც რენუარმა მარჯვენა ხელი მოიტეხა, სულაც არ დადარდიანდა, მარცხენა ხელით დაიწყო ხატვა.

ეგრეა, ტიტანებს ხშირად ვერაფერს გაუგებთ... როდესაც მამუკამ პოლიტიკაში კისერი მოიტეხა და სასამართლოს მიერ ოფიციალური თაღლითის სტატუსიც კი აიკრა, სულაც არ დადარდიანდა, ჩახტა მეტროში და დაიწყო მღერა.

შეიძლება ზოგს მამუკა ხაზარაძის მღერა ღნავილი გგონიათ.

თავის დროზე ზუსტად ეგრე აფასებდნენ ფიროსმანის, პოლ გოგენის, ვან გოგისა და სხვა პრიმიტივისტების შემოქმედებას.

დადგება დრო და... თქვენ რომ ღნავილად გეყურებათ, ის ძაან საამო სალბუნად გადაიქცევა!

უცნაური ამბები
სახელდახელოდ ჩაიწერა
**გელა ზედელაშვილმა**

# პარანორმალური მოვლენები – რეალურსა და ირეალურს შორის

მეცნიერების უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ბნელი ძალა, მოჩვენებები, პოლტერგეისტი, არაჯანმრთელი ხალხის მონაგონია, მაგრამ დამოუკიდებელი მკვლევარები დარწმუნებულები არიან, რომ თანამედროვე მეცნიერებას არ შესწევს ძალა ანომალიური მოვლენების ბუნების შეცნობისა. სხვადასხვა დროს მოაზროვნენი, რომლებიც ფიქრობნენ, რომ სამყარო მრავალფეროვანი, ამოუცნობი და იდუმალებით მოცულია, გარიყულები იყვნენ საზოგადოებისაგან. საბჭოთა ფსიქიატრი გენადი კროხალევი ერთ-ერთი მათგანია, ვინც გადააბიჯა ზღვარს, ყველასთვის აკრძალულ ზღვარს და მოჩვენების გადაღებით მან შეძლო მრავალსაუკუნიანი ერთ-ერთი საიდუმლოსთვის ფარდის ახდა. ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში პერმელმა ფსიქიატრმა, შეძლო ფირზე აღებეჭდა ჰალუცინაციებისგან გაწამებული ავადმყოფი ხალხის მოლანდებები. მის მიერ მიღებულ ფოტოებზე აშკარად ჩანდა, ენერგეტიკულად დასუსტებული, აურის მქონე ხალხის ტვინში, შეღწეული სხვა იმქვეყნიური არსება თუ სული.



იგი ფოტოებს წყლის საცურაო ნიღბით იღებდა. სსრკ-ში და მოგვიანებით რუსეთში ექიმი გიჟად გამოაცხადეს, ხოლო საზღვარგარეთ შეიქმნა მრავალი საიდუმლო ლაბორატორია, რომელიც მისი მეთოდისამებრ მუშაობდა. კროხალევს ეპატიჟებოდნენ საერთაშორისო კონგრესებზე და ეუბნებოდნენ რომ მისი აღმოჩენა ნობელის პრემიას იმსახურებდა. გენადი კროხალევის ცნობილი ცდები ჩვეულებრივი საავადმყოფოს პალატაში ტარდებოდა. პაციენტი რომელიც ხედავდა კოშმარულ ჰალუცინაციებს, მისი წყვეტილი წამოყვირებები იმის საშუალებას იძლეოდა, რომ მიხვდარიყვნენ რა ხდებოდა მის ტვინში. აი, მისკენ სწრაფად მოჰქრის ხარირემი. მოახლოებული სიკვდილის პანიკა იცვლება უფრო ამაზრზენი ხილვით. ამ დროს ექიმს აპარატი პაციენტის თვალებთან ახლოს მიჰქონდა და იღებდა რამდენიმე ფოტოს. ფირის გამჟღავნების შემდეგ ექიმი კადრების ნახევარზე წვრილმანებში ხედავდა მორბენალი ხარირმის მკვეთრ სილუეტს, ხოლო დანარჩენ კადრებზე – გველს. ავადმყოფი, რომელსაც გარკვეული დროის შემდეგ შემოტევამ გაუარა, ადასტურებდა გამჟღავნებული ფოტოებისა და გადატანილი კოშმარის ზუსტ მსგავსებას.

1974 წლიდან 1996 წლამდე კროხალევმა ვიზუალური ჰალუცინაციების გადაღება ასჩვიდმეტ პაციენტთან შეძლო. ექსპერიმენტებში წყლის ნიღაბი იმისთვის გამოიყენებოდა, რომ პაციენტის თვალებსა და ფოტოკამერის ობიექტივს შორის სრული სიბნელე ყოფილიყო. დამთხვევები საოცარი იყო. ფოტოსურათებზე გარკვევით და უმცირეს დეტალებში ჩანდა ის რასაც ავადმყოფი იმ წამს ბუტბუტებდა: „ჩექმებიანი კატა", „თევზი", „ხარ-ირემი", "კატა", „ადამიანი", „ეშმაკი"...

ავადმყოფი ხედავდა კაცის მოჩვენებას გენადი კროხალევმა შეძლო და დაამტკიცა, რომ უხილავი "სულების" მხედველობითი გამოსახულება, რომელიც ანთებულ ტვინშია, თვალებს გადაეცემა, საიდანაც გამოსხივდება გარშემო სივრცეში. მანვე წამოაყენა წინადადება, რომ ყველა ავადმყოფური მოვლენა ეკრანირებულ გარემოში მოხვედრისთანავე წყდება, ხოლო იქიდან გამოსვლის დროს – თავიდან ჩნდება.

ეკრანიზების ეფექტმა დაამტკიცა უხილავი ასტრალური სამყაროს არსებობა, რომელსაც ნეგატიური ენერგეტიკა აქვს და შესაბამისად მოქმედებს ავადმყოფზე. პირველი ექსპერიმენტები ძალიან უბრალო იყო – კროხალევი იღებდა ფონენდოსკოპის ყურმილს და პაციენტს ყურში უთავსებდა, მეორე ბოლო კი თვითონ ჰქონდა ყურში. გაირკვა, რომ მუსიკა ხმამაღალი ხდებოდა მაშინ, თუკი პაციენტის ყურებს 10-12 ვოლტის მუდმივ ძაბვას მიუერთებდნენ. ისე კი ერთ-ერთი პაციენტის ყურებიდან მუსიკა გამაძლიერებლის გარეშეც მშვენივრად ისმოდა.თუმცა ყველაზე საოცარი ეფექტი კროხალევმა ჯერ კიდევ 1972 წელს აღმოაჩინა. ერთ-ერთ პაციენტს (1926 წელს დაბადებულს), საშინელი სიმთვრალის შემდეგ ათი დღის განმავლობაში ძლიერი ხმოვანი ჰალუცინაციები დაეწყო. გამუდმებით ჩაესმოდა თავისი თანასოფლელი გარდაცვლილი გოგონების ხმა. გარდაცვლილები სთხოვნდნენ, რომ მას ახლანდელი მისი საცხოვრებელი ქალაქი – პერმი – მათთვისაც ეჩვენებინა. ხმების გავლენით ავადმყოფი ჯდებოდა ტაქსში, მანქანას დაატარებინებდა მთელ ქალაქში და რასაც ათვალიერებდა მიცვალებულებს ყველაფერს ხმამაღლა აღუწერდა. ბოლოს და ბოლოს დაღლილმა და გაოცებულმა ტაქსისტმა ის ფსიქიატრიულ კლინიკაში მიიყვანა. კროხალევმა




გადაწყვიტა გარდაცვლილი ქალიშვილების ხმები მაგნიტოფონზე ჩაეწერა თუ მოხერხდებოდა. ყოველგვარი გარეშე ხმაურის გამოსარიცხად ექიმს სურდა ჩაწერა განეხორციელებინა ეკრანიზებულ კამერაში. მაგრამ როგორც კი ავადმყოფი კამერაში შედიოდა და კარს მოხურავდნენ "იმქვეყნიური" ხმები უკვალოდ ქრებოდა.

სამაგიეროდ კამერიდან გამოსვლის შემდეგ ხმები კვლავ ჩაესმოდა. ეს შემთხვევა ფსიქიატრიაში სრულ გადატრიალებას მოასწავებდა. გამოდიოდა, რომ მხედველობითი და ხმოვანი ჰალუცინაციები შინაგან სუბიექტურ ფაქტორებს კი არ წარმოადგენდა, ანუ კი არ ეჩვენებოდა ეს ყველაფერი პაციენტებს, არამედ მათზე გარედან თავს მოხვეული, ობიექტური რეალობა იყო, რომელიც პაციენტებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა. თანაც აქ ფსიქოლოგიური ფაქტორიც გამორიცხული იყო, რადგან კამერაში შესვლისას ავადმყოფებს არავინ ეუბნებოდა, რომ იქ, ყოველგვარი გარე ზემოქმედებისგან იყვნენ დაცული.

1979 წელს ანალოგიური ექსპერიმენტები სხვა ქვეყნებშიც ჩაატარეს. მაგნიტოფონზე ხმოვანი ჰალუცინაციების ჩაწერას სამი იტალიელი პარაფსიქოლოგი შეეცადა და მათაც იგივე შედეგი მიიღეს. ყველა ამ შედეგის გათვალისწინებით კროხალევმა გამოთქვა იმ დროისათვის საკმაოდ გაბედული ჰიპოთეზა – „თუკი ფსიქიატრიულის იმ ავადმყოფებს, რომლებიც ჰალუცინაციებით იტანჯებიან, ეკრანირებულ კამერაში მოვათავსებთ, მათზე ასტრალური სამყარო გავლენას ვეღარ მოხდენს კამერაში ყოფნის პერიოდში. დიახ, ასეთია ჩემი აზრი". კროხალევის აღმოჩენები და ექსპერიმენტები აღიარებულია მრავალ ქვეყანაში, ხოლო რუსეთში, მაინც აკრძალულია, ექიმის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ, მისი ქალიშვილი დარწმუნებულია, რომ იგი თავისი წარმატებული მეცნიერული მოღვაწეობის გამო მოკლეს. დღესდღეობით მოჩვენებების მცნება უფრო მრავალფეროვანია. არსებობენ, თვითმფრინავების, გემების და ქალაქების მოჩვენებების თვითმხილველები. ხშირად სურათებზე მოჩვენებების გამოსახულებები ჩანს მკვეთრ წერტილებად ან ბუნდოვან ლაქებად, რომლებსაც გადაღების დროს ვერ ამჩნევდნენ. პირველი წერილობითი მტკიცებულება ადამიანის მოჩვენებასთან კონტაქტისა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათას წელს არის დაწერილი ბაბილონურ თიხის ფირფიტებზე.

ცნობილია ფაქტი, რომ რომაელ ჯარისკაცებს, რომლებმაც ნახევარი მსოფლიო დაიპყრეს, ეშინოდათ მოჩვენებების. მათ წინააღმდეგ თავის დასაცავად, ისინი მსხვერპლს სწირავდნენ და ეთაყვანებოდნენ უცნობ ღმერთებს. ფუძის ანგელოზს, საქართველოში უხსოვარი დროიდან იცნობდნენ და სხვადასხვა რიტუალს ატარებდნენ მის საპატივცემულოდ. სლავები, სახლის მცველ სულს ეთაყვანებოდნენ. მათ ჩვევად ჰქონდათ რძიანი ჯამის დადგმა სახლის სულისთვის, რადგან მას შეეძლო გაბრაზებულიყო დაუდევარ ოჯახის უფროსზე და გაენადგურებინა მთელი სახლი. ძველ, აღმოსავლეთ სლავებში სახლის სული, ოჯახის კერის და ერთიანობის მფარველი, წინა თაობების კულტთან დაკავშირებული სულია. სლავურ სოფლებში ლეგენდები მათ შესახებ დღესაცაა შემონახული.

ითვლება, რომ ყოველ სახლში, მნიშვნელობა არ აქვს, ცარიელია თუ დასახლებული, არის სახლის სული – სახლის მფარველი, ოჯახის უჩინარი მფარველი, ამიტომაც მას მოწიწებითა და პატივისცემით ექცევიან და პატრონს უწოდებენ. მას გამოყოფილ ადგილებში უყვარს დაბინავება – ბუხრის ან ზღურბლის ქვეშ, სხვენში, ზარდახშის უკან ან ბუხრის მილში სახლის სული ეხმარება ბეჯითებს. იგი ყველანაირ წვრილმანებს ხედავს და ამჩნევს, ვერ ითმენს უსარგებლო ხარჯებს ერთი სიტყვით, გადახრილია ოჯახის იდილიის აწყობისკენ. თუ ოჯახი მოსწონს, ემსახურება მათ წლების განმავლობაში ნდობითა და სიყვარულით, ხოლო ვინც არ უყვარს – ხელს უშლის, ყველაფერს უფუჭებს, აქეთ-იქით ისვრის ნივთებს, ღამე არ აძინებს... იმ სულების გარდა, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც კეთილები, ასევე ბოროტები, არსებობენ წმინდა სისხლის ბოროტი სულები. ისინი მოდიან სხვა სამყაროებიდან და უსახლდებიან ჩვეულებრივ ადამიანებს. სულები, მოჩვენებები, დემონები – ეს ყველაფერი პარანორმალური მოვლენებია – ბუნება, რომლის შესახებაც ადამიანმა არაფერი იცის.ჩვენ ელემენტარულიც კი არ ვიცით, როგორ ხდება სულის გადასვლა ერთი სამყაროდან მეორეში. ბევრ კითხვაზე პასუხი შინაურ ცხოველებზე დაკვირვებითაც შეიძლება ვიპოვოთ.



პარანორმალური მოვლენების მკვლევარების მტკიცების მიხედვით, კატას შეუძლია ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა, თან ამისათვის სიკვდილიც არ სჭირდება. სხვა მტკიცებების მიხედვით, ძაღლი ცნობს პატრონს, რომელშიც ბოროტი სული ჩასახლდა. დააკვირდით თქვენს კატას, როგორ ქრება დროდადრო უკვალოდ, ხოლო შემდეგ თითქოს არსაიდან ჩნდება. მოჩვენებათა და სხვა უამრავი პარანორმალური ისტორიების ასიათასობით შემთხვევაა დაფიქსირებული. დროდადრო ჩვენ ვდგავართ ისეთი მისტიკური საშინელების წინაშე, რომ მისი დაჯერება შეუძლებელია. პარანორმალური მოვლენები რეგულარულად ხდება ჩვენს გარშემო, იმისდა მიუხედავად, სკეპტიკოსები ვართ თუ გვჯერა ამის.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# საერთო გაზეთის „იურიდიული კონსულტაცია“

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კეკლიშვილი. ტელ.: 593 78-64-69



* * *

**- როდის ითვლება სამკვიდრო მიღებულად?**

- მემკვიდრის მხრიდან სამკვიდრო მიღებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მემკვიდრე (იქნება ეს ანდერძით მემკვიდრე თუ კანონით) შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების თაობაზე ნებისმიერ სანოტარო ბიუროში და მიიღებს სამკვიდრო მოწმობას.

სამკვიდრო მიღებულად ითვლება სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით ან მართვითაც, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო.

ქმედუუნარო და შეზღუდულქმედუნარიანი პირები სამკვიდროს იღებენ თავიანთი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო მხარდაჭერის მიმღები პირები მხარდამჭერის დახმარებით, თუ მას სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდაჭერა ქონებრივი უფლებების განსახორციელებლად დაუწესდა.

ასევე, აგიხსნით, რას ნიშნავს ფაქტობრივი ფლობა ან მართვა და როგორ ხდება ასეთ დროს სამკვიდროს მიღება.

ქონების ფაქტობრივი ფლობა შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. კერძოდ, ასეთია მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში (რაც უნდა დასტურდებოდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით), რომელშიც მამკვიდრებელი ცხოვრობდა, ასევე მამკვიდრებლის ნივთების გადატანა (მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში)- და შენახვა თავისთან, რათა შემდეგ მოხდეს მისი განაწილება მემკვიდრეთა შორის (მათი არსებობის შემთხვევაში).

ქონების ფაქტობრივ მართვაში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც მემკვიდრე ფაქტობრივად არ ფლობს ამ ქონებას, მაგრამ მისი მოქმედებებით დასტურდება, რომ სამკვიდროს თავისად მიიჩნევს. მაგალითად, სამკვიდროს გახსნის შემდეგ იხდის გადასახადებს და ა. შ.

როგორც ქონების ფაქტობრივი ფლობის, ისე ფაქტობრივი მართვის შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია მიმართოს ნოტარიუსს და მოითხოვოს სამკვიდროს მიღება. ასეთი ტიპის მემკვიდრეობის დროს სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადები არ არსებობს, რადგან იგულისხმება, რომ ქონება მემკვიდრის მხრიდან ისედაც მიღებულია და სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსთან მისვლა და ოფიციალური სახის მიცემა მხოლოდ მემკვიდრის ნებაზეა დამოკიდებული.

* * *

**- როგორ ხდება პირის უგზო - უკვლოდ ან გარდაცვლილად გამოცხადება?**

- წარმოგიდგენთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-23-ე მუხლებს, რომლებიც სრულყოფილად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას.

**- მუხლი 21. პირის აღიარება უგზო - უკვლოდ დაკარგულად**

1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო - უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო - უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

2. უგზო - უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

**მუხლი 22. პირის გამოცხადება გარდაცვლილად**

1. პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები



ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

2. სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო - უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.

3. პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.

**მუხლი 23. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შედეგები**

1. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

2. დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.

3. ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შეძენისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

4. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

**მუხლი 1135. ქორწინების აღდგენა გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო - უკვლოდ აღიარებული მეუღლის დაბრუნებისას**

1. თუ გამოჩნდება კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო - უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე, რომელთანაც ქორწინება შეწყვეტილი იყო ამ საფუძველზე, და გაუქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო - უკვლოდ აღიარების შესახებ, სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურმა ქორწინება შეიძლება აღადგინოს მეუღლეთა ერთობლივი განცხადებით, ხოლო თუ ისინი სასამართლო წესით იყვნენ განქორწინებულნი, სასამართლო მათი განცხადებით აუქმებს გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ.

2. ქორწინება არ შეიძლება აღდგეს, თუ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო - უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე

* * *

**- მაინტერესებს საქორწინო ხელშეკრულების თემა, სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.**

- თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-1181-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოდიდგენთ სრულად.

**მუხლი 1172. საქორწინო ხელშეკრულება**

1. მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

2. საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციამდე უნდა დაიდოს, თუ ერთ - ერთი მეუღლე მაინც მხარდაჭერის მიმღებია. საქორწინო ხელშეკრულების დადების პროცესში აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, აგრეთვე მხარდამჭერის ჩაბმა იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

3. მხარდაჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულების შესრულებისას მხარდამჭერის მიერ თავისი მოვალეობების განხორციელებაზე ზედამხედველობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

4. მხარდაჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულება იმაზე მეტად არ უნდა ზღუდავდეს მის ქონებრივ უფლებებს, ვიდრე ეს განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

5. თუ საქორწინო ხელშეკრულება მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის იდება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღებს მისი დადების პროცესში დროებით მხარდამჭერად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს უნიშნავს.

*საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი N3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.*

**მუხლი 1173. საქორწინო ხელშეკრულების დადება**

1. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს.

2. საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან.

**მუხლი 1174. ხელშეკრულების ფორმა**

საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

**მუხლი 1175. საქორწინო ხელშეკრულების დადება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ**

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლია დადოს საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

**მუხლი 1176. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი**

1. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე.

2. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი.

3. მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება), ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე.

**მუხლი 1177. საოჯახო ხარჯების გაწევის წესი**

მეუღლეებს უფლება აქვთ საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრონ შემოსავლებში მონაწილეობის პირობები, თითოეულის მიერ საოჯახო ხარჯების გაწევის წესი და ქონება, რომელიც გადაეცემა თითოეულ მეუღლეს ქორწინების შეწყვეტისას.

**მუხლი 1178. საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება - მოვალეობათა შეზღუდვა**

საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული ვადით ანდა ამა თუ იმ პირობების დადგომით.

**მუხლი 1179. მოვალეობები, რომელთა შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია**

1. საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება - მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და — დავის შემთხვევაში — სასამართლოში მიმართვის უფლება.

2. ხელშეკრულებით ასევე არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ - ერთ მეუღლეს.

**მუხლი 1180. საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა**

1. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

2. ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.

3. საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.

**მუხლი 1181. საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოს მიერ**

დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, პატივსადები მიზეზების არსებობისას, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ ერთ - ერთ მეუღლეს.

# „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ - მკითხველზე მოფიქრალი კაცის იუბილე

## თამაზ წივწივაძის დაბადების 80 წლის გამო




თამაზ წივწივაძე 80 წლისა შესრულდებოდა, რომ არა ვერაგი სენი, რომელმაც სამი წლის წინათ შეიწირა ცნობილი კრიტიკოსის, პუბლიცისტისა და ქართულ ლიტერატურაში სრულიად ახალი ჟანრის დამამკვიდრებლის ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო სიცოცხლე.

სიცოცხლე დასრულდა, მაგრამ თამაზის ნაღვაწი თაობებს გაჰყვება და ემახსოვრება...

თამაზ წივწივაძის სახელს უკვდავყოფს მისი შემოქმედება, ამისთვის იღვწიან მისი კოლეგები და მეგობრები, მისი დიდი ოჯახის წევრები. ოჯახის უშუალო ძალისხმევით გასულ წელს დაარსდა თამაზ წივწივაძის სახელობის ფონდი, რომლის ეგიდითაც გაიმართა ლიტერატურული კონკურსი „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ კონკურსმა მყისიერად ჰპოვა გამოხმაურება — კომპეტენტურ ჟიურის უამრავი მასალის გაცნობამ მოუწია.

პირველ ადგილზე გასული ნაწარმოებების ავტორებს გადაეცათ დიპლომები, პრიზები და ფულადი ჯილდოები. ფონდის დაარსება-დაფინანსებაში დიდი წვლილი შეიტანეს თამაზის აღზრდილებმა, ოჯახის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა — მაია და გიორგი წივწივაძეებმა.

თამაზ წივწივაძის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა 2022 წლის 10 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინიციატივით გამართული საღამო. აკადემიის სააქტო დარბაზში შეკრებილმა ქართველმა მწერლებმა და მკითხველებმა, მეცნიერებმა, საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა პატივი მიაგეს თამაზ წივწივაძის ხსოვნას.

საღამო გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ.

სიტყვით გამომსვლელებმა — მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა, აკადემიკოსებმა რამაზ ხუროძემ, ელიზბარ ჯაველიძემ, პოეტმა ერეკლე საღლიანმა, სპორტულმა ჟურნალისტმა თენგიზ გაჩეჩილაძემ ვრცლად მიმოიხილეს თამაზ წივწივაძის შემოქმედება, განსაკუთრებულად აღნიშნეს მისი, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის დიდი დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე, ის თანადგომა, რომელსაც თამაზი იჩენდა გაჭირვებაში მყოფი ადამიანებისადმი. თამაზის ყურადღება და მზრუნველი ხელი სწვდებოდა არამარტო თბილისსა და მის მშობლიურ ქუთაისს, არამედ საქართველოს ნებისმიერ რეგიონს. ამის დასტური იყო ის სამადლობელი, რომლითაც თამაზ წივწივაძის სულს შეეხმიანა სამაჩაბლოს გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი რობერტ ოდიკაძე.

თამაზ წივწივაძის შემოქმედება მიმოიხილა და მასთან პირად ურთიერთობაზე ისაუბრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მრჩეველმა იოსებ ჭუმბურიძემ.

დარბაზში შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს თამაზ წივწივაძის ყოფილი თანამშრომლის, მძიმე დროს მისი ნაამაგარი გაზეთის მთავარი რედაქტორისა და კონკურსის ჟიურის თავმჯდომარის ივანე ამირხანაშვილის სიტყვა, რომელმაც ისაუბრა თამაზ წივწივაძის შემოქმედებაზე, დიდი სითბოთი გაიხსენა ეპიზოდები იმ ურთიერთობიდან, რომელიც მას და მის მეგობრებს აკავშირებდათ თამაზ წივწივაძესთან — პიროვნებასთან, უფროს მეგობართან, შემოქმედთან, „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორთან, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან...

ცნობილმა ჟურნალისტმა მარინე გიგინეიშვილმა გაიხსენა სტუდენტობის ხანა, თამაზის დასთან, თანაკურსელ დოდო წივწივაძესთან გატარებული წლები და ის ყურადღება, რომელსაც თამაზი იჩენდა სათაყვანებელი დისა და მისი მეგობარი გოგონების მიმართ. მან, როგორც ჟიურის წევრმა, ისაუბრა თამაზ წივწივაძის სახელობის ფონდის მიერ ჩატარებული ლიტერატურული კონკურსის შესახებ.

ჟიურის წევრმა, ჟურნალ „დილის“ მთავარმა რედაქტორმა თამარ ნინიკაშვილმა და ამავე ჟურნალის თანამშრომელმა მაგდა კვაჭანტირაძემ პრიზები გადასცეს ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულებს: ანდრო ბუაჩიძეს, ვანო ჩხიკვაძეს, მარინე თექთუმანიძეს, ვასილ ბესელიას, ნინო მზესელს, ასევე, მხატვარ ვახტანგ კუხაშვილს.

გამარჯვებულთა შორის დასახელდა შესანიშნავი პოეტი ცირა









შალაშვილი, რომელმაც, სამწუხაროდ, საღამოზე დასწრება ვერ მოახერხა.

თამაზ წივწივაძის საიუბილეო საღამოს უწყვეტად გასდევდა ფოტომასალა. თამაზთან ერთად ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მისი დიდი მეგობრები და თანამებრძოლები: ირაკლი აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი, მორის ფოცხიშვილი, ედუარდ შევარდნაძე, გურამ ფანჯიკიძე, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები...

დარბაზი ემოციურად ეხმიანებოდა ჩვენგან წასული დიდი მოღვაწეების ეკრანზე გამოჩენას.

საღამოს დასასრულს ქალბატონმა დოდო წივწივაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობას, რომელთა ძალისხმევითაც ეს საღამო შედგა; მოკლედ აღნიშნა ქართული ლიტერატურის წინაშე თავისი ძმის დამსახურების შესახებ და სიტყვა გადასცა ჟურნალისტ ლია მეტრეველს, რომელმაც წაიკითხა თამაზ წივწივაძის ბოლო წერილი, რომლითაც ის საავადმყოფოდან უკანასკნელად შეეხმიანა „ლიტერატურული საქართველოს“ თანამშრომლებს — იგი სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი „ლიტერატურულ საქართველოსა“ და თავის ძვირფას მკითხველებზე ფიქრობდა...

დაბოლოს, შეკრებილთ მიმართა პოეტმა მზია ხეთაგურმა, რომელმაც გამოსვლა დაასრულა ადრე დაწერილი ლექსით, რომელიც იმ დღეს თამაზ წივწივაძის ხსოვნას მიუძღვნა.

ამ დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მოსულ სტუმრებს გადაეცათ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ბოლო ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო თამაზ წივწივაძის მოწოდება-მანიფესტი „შერიგებისთვის“, რომელიც დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ, როცა ის იწერებოდა...



გაზეთში, ასევე, გამოქვეყნებულია მისი კოლეგების რამდენიმე წერილი, რომლებიც თამაზ წივწივაძის ხსოვნას ეძღვნება.

სტუმრებმა საჩუქრად მიიღეს თამაზ წივწივაძის გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდილი მისი წიგნები: „თამაზ წივწივაძე შინ და გარეთ“, „ქვეყნის ამბები“, „რა ქვეყანაში, ვის გვერდით და როგორ ვცხოვრობდით“ და „მოცლილი დღის ქრონიკები“. ეს შესანიშნავი გამოცემები თამაზის გზის ღირსეული გამგრძელებლის, ჟურნალ „დილისა“ და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ დიდი მოამაგის, ქალბატონი დოდო წივწივაძისა და მისი ოჯახის ახალგაზრდა წევრების, მაია და გიორგი წივწივაძეების დიდი ძალისხმევისა და რუდუნების შედეგია.

საღამო დამთავრდა, მაგრამ სტუმრები წასვლას არ ჩქარობდნენ — მიუხედავად იმისა, რომ საღამო ნამდვილად შედგა, ყველას თავისი მოსაგონარი ჰქონდა ამ ნაღდ, უღალატო კაცზე და ფოიეში გამოსულნი კვლავ იხსენებდნენ დროს, რომელიც თითოეულ მათგანს თამაზ წივწივაძესთან აკავშირებდა.

დასასრული არ უჩანდა მასზე მოგონებებს, მეზობელ დარბაზში კი სუფრაზე, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ სტუმრებისთვის მოამზადა, მისი შესანდობარი დაილია...

ემოციებით აღსავსე საღამოს დასრულების შემდეგ, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, სტუმრები კმაყოფილების გრძნობით ემშვიდობებოდნენ იუბილეს ორგანიზატორებს — მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებსა და ქალბატონ დოდო წივწივაძეს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99